

Зуихი Region

№31
2019 ეპრი



შვილო ჩემ,
აქიან, გეძებდი
და მიარვე.
მე ვარ მამაშენი,
მაა ზეციერი,
უხილავი, თუმცა
მარაზ გენოან
მურფი
მამეკა საღებვაცე

ქაუაჩოები



კლოდ მონეს ეს ნახატი
შესრულებულია 1873 წელს.


არსენალის მთა ღამით

ნიკო ფიროსმანაშვილი (1862-1918).
თვითნასწავლი ქართველი მხატვრის ეს
ნამუშევარი უცნობია, თუ როდის
შეიქმნა.

საღამო, ან ეგებ, ღილაა მაისის;
შუქია აისის, ან იქნებ, ღაისის;
ვეღია ნათელი, ოცნებით სათელი;
ეაეაჩი მრავალზე, მრავალი;
ერთად ანთებულა ურიცხვი სანთელი.
ბილიკით, სანთლებიში მავალი
მოდიან ღეღები, უცნაურ ქუდებით;
მოხდევენ შეიღები – კუდები.
გუცექ აღტაცებით, სული ითენთება
და წამით ტკივილიც ამდება.
რა შშენიერია, ასე თუ თენდება
და რა ცუდია, თუ ღამდება.

ქალაქის თავზე,
ღიმნისფერი მთვარეა სავნე.
და არის ღურჯი, ღია და მუქი.
და მცურავ ღრუბლებს ეფინებათ
ფერმკრთალი შუქი,
გაბადრულ მთვარის.
ღამები, მხოლოდ რქები სჩანს სარის.
ისმის ღატვირთულ ურმის ჭრიალი, მეურმის
ნენება

და როგორ იწვის ქოცონში შეშა.
შორს, არსენალის მთის მოხჩანს კალთა,
ზედ მოლივდივე ჩრდილება აღთა.
გენიალური სიმარტოვეა, უნიკალური,
ფიროსმანული, თუ ნიკალური.



იმპრესიონი – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შთაბეჭდილებას. სწორედ წამიერი შთაბეჭდილებისა და მხატვრის უცარი შეგრძნების გაღმოცემას ისახავს მიზნად XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მხატვრობაში შექმნილი მიმღინარეობა – იმპრესიონიზმი. მოგვიანებით, მხოლოდ მხატვრობამ კი არა, ხელოვნების სხვა სფეროებმაც მოიცვა, – ლექსებით მეჩემს შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ.

მამუკა სალუქვაძე

მზესუმზირები

პოლანდიელი ფერმნერის ვინსენტ
ვან გოგის (1853-1890) ეს შედევრი
შექმნილია 1888 წელს.



ფონად ცა სიცხით განუწებული.
სიბრტეე მსურვალე,
სივრცე ურვილი.
თისის ქოთანი განუწებული,
შიგნით – წეურვილი.
თავად სამჟაროს არ გაგონებთ სურათი
განა?!
ეელგამომშრალი ევავილები, მზეებს რომ
პგვანან
ქოთანში დგანან
და სამუდამოდ მოწევეტილები,
ჯერ კიდევ დილით,
იმზირებიან მოწევენილები;
– სად გაქრა ჩრდილი?
– სადმე მიწაში, თუ სმებიან ჩვენი ძირები...
უძირო ფიქრში იმირებიან მზესუმზირები.

სარჩევი

არქიმანდრიტი თადეოზი იესოს ლოცვის შესახებ...	2	დევნილთა უღელტეხილი 16-18
ათი მცნება 3		სიტყვა ტრადიციული მედიცინის ვარსკვლავზე 19-20
კავკასიონის მთიანეთის გუშაგები 4-6		ქრისტეფორე დე კასტელი 21-22
შურსა და ცილზე ამაღლებული 7-8		შალვა ძნელაძის ნახატები 23-24
გეოლოგია გიორგი ძონერიძის უპირველესი გატაცება და საქმიანობა იყო 9-10		ნადის ფენომენი 25-27
ილია ჭავჭავაძის გარდაცვალება 11-12		დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ 28-29
ქვევრისა და ქვევრის ღვინის ფენომენი 13-15		არიანი 30-31
		ანექსოტები 32

პირველი ქართული ჟურნალი გურიულებზე



Guriaregion

REGION

მთავარი რაღაპროცესი და გამოცემალი
ცენტრ სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფორსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru


პირველი გაითხველებო!

მოგვაწოდეთ პუბლიკაციები, მოთხოვობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, უურნალში განთავსება ფასიანია.

უკრალი თავისუფალი პრასის პრინციპით ხელმძღვანელობს.

რაღაპროცესი გამოცემის მასალების სიზუსტეზე პასუხს აჩვენა ავტორი,
ხოლო საკალამო ტექსტზე პასუხისმგებელობა რაგუაშის შემავათს ეცისრამა.

აჩემანერის თაღოზი ისარს ღოცვის შესახებ...



გერმანელი მხატვრის, იულიუს კაროლის ფელდის გრავიურა

თუ ჩვენ თავმდაბალი, მშვიდნი, თვინიერნი ვართ, ეს აზრები დადებითად მოქმედებენ არა მარტო ნერვულ სისტემაზე, არამედ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზეც. ყველა ელოდება ჩვენს ყურადღებას...

— **რა არის დარდი?** — ამ ქვეყნად ბევრი დეპრესიული ადამიანია, რომლებმაც რწმენა დაკარგეს. ისინი უსარგებლო აზრებით იტვირთავენ თავს, ხოლო სიკეთის ქმნა ღმერთის გარეშე შეუძლებელია, მხოლოდ მისი დახმარებით შეგვწევს, რადგან ღმერთია სახიერი, კეთილი და გულმონტყალე.

დიდება ღმერთს. ის ყველგან არის, ყველას ეხმარება — სუსტისაც და ძლიერსაც. ღმერთი ყველგან მყოფობს.

— **როცა სევდიანი ხართ, რას აკეთებთ?**

— არ ვიცი...

...ბევრს არ ვლელავ, არ მანუხებს, რა მომივა. როგორც იქნება, ისე იყოს... სხვა შემთხვევაში ვერ მოვიპოვებდი მშვიდობას.

როგორც ღმერთი ინებებს, ისე იქნება!..

თუ უფლის ნებას მიენდობით, საფიქრალი არაფერია.

მხოლოდ შენი ფიქრით ვერაფრის შექმნი. თუ მშვიდობას გრძნობ, კეთილი და მშვიდობიანი ფიქრები გაქვს. ხოლო თუ ფიქრს დაიწყებ, — ეს იქნება, ის იქნება... განწყობას გაიფუჭებ, არ გექნება მშვიდობა. საკმარისია ჩვენი ყოველდღიური სიძნელეები. რაც არ უნდა ჯანმრთელი იყოს ადამიანი ფიზიკურად, მანც აქვს ნაკლი. არც ერთი სრულყოფილი არსება არ არსებობს ნაკლის გარეშე. სრულყოფილი მხოლოდ ღმერთია. ღმერთთან ერთად ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ სრულყოფილი. ხოლო მის გარეშე არაფერი ძალგვიძს, რადგან ის სიყვარულია, სრული სიყვარული, როდესაც მას გულით მივმართავთ, მაშინვე გვეხმარება.

— **როგორ ვცხონდეთ ადამიანურ და მატერიალურ გარემოში, როგორ გავუხსნათ ჩვენი გული და გულწფელად მივმართოთ ღმერთს? უნდა ვივარჯიშოთ, გულმოდგინება გამოვიჩინოთ. ლოცვაც ვარჯიშია. როდესაც**

ადამიანი გამუდმებით ლოცულობს, უკვე ჩვევაში გადადის, ჩვევის მიხედვით ლოცულობს. როდესაც სიტყვებს ვიმეორებთ, გრძნობა მოდის. წმინდა მამები წერდნენ, — ისინი, რომლებიც გონიერი ლოცვით ლოცულობენ, თუ მუდმივად ვიმეორებთ, ჩვენი ბუნების ნაწილი ხდება. ასეა ლოცვაც, მრავალმა თავიდანვე მიიღო „უფასო“ მადლი.

ვინც გულით და გონიერი ლოცვით მიმართავს უფალს, მუდმივი ხდება და შენში თავად მოქმედებს ლოცვა...

მადლისმიერი ლოცვა გამოუთქმელი სიხარულია...

— **შეგიძლიათ რჩევა მოგვცეთ ლოცვებზე?**

— რომელ ლოცვებზე...

— **სად და როგორ წარმოვთქვათ?**

— წმინდა მამები იესოს ლოცვის შესახებ ამბობდნენ, ყველამ ივარჯიშოს მასში...

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო შემიწყალე მე.

თუ ყოველდღე გულმოდგინედ ვილოცებთ, ჩვენს თავზე ვიგრძნობთ ღვთის მადლს, ლოცვა თავისთავად დაიწყებს მოქმედებას შენში, შენი ნებისა და სურვილის გარეშე, ჩვევად იქცევა, ჩვენთან დაუჯერებელი ღვთაებრივი ძალაა. გრძნობ გამოუთქმელ სიხარულს და მშვიდობას. თავად გაოცებული ხარ, ყველაფერი ძვირფასია შენთვის, რასაც არ ხედავ, ყველაფერი წმინდაა. სწორედ ეს არის ღვთაებრივი მადლი, რომელიც ადამიანს ეძლევა, ეს კი ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. თავისთავად მოქმედებს, ადამიანი ცხოვრობს, მას კი მუდმივად უხარის. რაც არ უნდა დაინახოს, ყველაფრით ხარობს. სერაფიმ საროველი ყველას ეუბნებოდა, — ჩემო სიხარულო! განუწყვეტელი ღვთაებრივი მადლით ხარობს, როცა ხედავს ღვთაებრივ ძალას ყოველ სულში — ბავშვში, მოხუცში თუ ახალგაზრდაში, და მათთვის ეს წარმოუდგენელი ღვთაებრივი ენერგია და სიხარულია...

უფალს ებარებოდეთ!



გერმანელი მხატვრის, იულიუს კაროლის ფელდის გრავიურა

ათი მცნება



ლაშა გაგუას ნახატი

მამუკა სალუქვაძის შემოქმედება არის დაუოკებელი სწრაფვა სრულყოფილებისკენ. ამგვარი თავდადებული მოშურნეობისთვის, უფალი მის გულსა და გონებას ალავსებდა თავისი მადლით, ჭეშმარიტებით და მშვენიერებით...

XX საუკუნის მეორე ნახევარში ულმერთობისგან დამძიმებული საზოგადოებისთვის, მისი ამაღლებული სიტყვა იყო ვითარცა ანკარა ნაკადული, სალბუნი სულის, სიმწვიდის და ნუგეშის მომნიჭებელი.

მამუკას სწამდა, — ერის გადარჩენა მის სულიერ ამაღლებაშია. იგი სერიოზულად ემზადებოდა საღმრთო საიდუმლოთა შეცნობისთვის. ბუნებრივია, მისი რელიგიური შენარსის ნანარმოებები, საწყის ეტაპზე ვერ იქნებოდა ზუსტი განმარტება საღმრთო წერილისა. ავტორს არც ჰქონია ამის პრეტენზია. მისი მთავარი მიზანი იყო, თანამედროვე ადამიანში ლვთისადმი რწმენის და სიყვარულის გაღვიძება. ეს მისია მან არაჩვეულებრივად აღასრულა.

გვნამს, მამუკას უკვდავი სული კვლავაც იღწვის და ლოცულობს საქართველოსთვის.

მეუფე დანიელი (დათუაშვილი)

* * *

ჩემთვის ყველაზე უცნაური და საკვირველია, როგორი ენთუზიაზმით და რწმენით წერდა ბიბლიურ ტექსტთა პოეტურ რემიქსებს. ამ უინს ძველ ქართულად საღვთო შური ერქვა. ასეთი მეშურნე, რწმენითა და სათონებით აღსავსე კეთილმზრახველი პოეტი, მეორე არ მახსენდება ჩვენს ლიტერატურაში.

ივანე ამირხანაშვილი

* * *

მამუკა სალუქვაძის წიგნები – **შვიდი დღე შესაქმისა, ათი მცნება, ამაოება ამაოთა** (ეკლესიასტეს მიხედვით) არავის ეგონოს, ბიბლიის შესაბამის ტექსტა გალექსვა, რაც ნებისმიერ პროფესიონალ პოეტს შეიძლება ხელენიფეროდეს... ეს ყველაფერი პოეტის რწმენით და სიყვარულით სავსე სულის მხურვალე ქურაშია გატარებული, ისევე, როგორც დილის ლოცვანი, ან სახარების თუ ქართლის ცხოვრების მიხედვით დაწერილი პოემა ანდრია პირველწლებული – პირველწყაროებთან ტექსტუალური სიახლოვის მიუხედავად, ეს მისეული ვერ-

სიებია, მისი ინდივიდუალური განცდის ნაყოფია, და სწორედ ამით არის ფასეული, და თუ ისინი აპოკრიფებს არ წარმოადგენდნენ, ეს უკეთესია, რადგან პოეტის სულის სიჯანსაღესა და სიმართლეს ადასტურებენ. ეს ის სიმაღლეებია, სულიერი და პოეტური, რომელიც ყველა შემოქმედისთვის სანატრელია, მაგრამ მხოლოდ რჩეულთათვისაა მისაწვდომი. მამუკა სალუქვაძე ასეთ რჩეულად წარმოჩნდა თავისი რელიგიური ლექსებითა და პოემებით.

**მიხეილ ქურდიანი
ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი**

მამუკა სალუქვაძემ ნაბიჯ-ნაბიჯ, ინტელექტუალური, თუ ცხოვრებისეული გამოცდილების გზით იარა და გაიზარდა სულიერად. მხოლოდ ტკივილით და ტანჯვით მოპოვებული სიბრძნის მერქე, მისცა თავს უფლება, ათი მცნება გაელექსა. ეკლესიასტეს მიხედვით გაერითმა და დაენერა საკუთარი შეგრძნებებით ამაოებათა ამაოებაზე, მშვიდი, ლვთიური წონასწორობით მოეთხორ შესაქმის დღეთა შესახებ...

მამუკა სალუქვაძე იმითაც გამოირჩევა თავის თაობაში (და არა მხოლოდ თავის თაობაში), რომ ყველაზე ადრე მიიყვანა უფალმა თავისითან, ყველაზე ადრე ჩიოკრა გულში და რწმენის ძალას აზიარა. ეს ძალა მაღამოდ დაეფინა მის ფიზიკურ ტკივილებს.

მე არ მინახავს ავადმყოფი მამუკა, მე დიდთვალება, სევდიანი და ხალისიანი მამუკა მახსოვეს. სამაგიეროდ, მისი მამა ვნახე წვერმოშვებული, ფიზიკური თუ სულიერი ტკივილისგან დამდნარი. ისეთი გაფართოებული თვალებით, რომ ვერ ვიცანი, ვიკითხე, ვინ არის-მეტქი მწერალთა ერთ-ერთ ბოლო ყრილობაზე, ანზორ სალუქვაძეო, მიპასუხეს.

იმედად ისღა რჩებოდა, რომ ამ გაოცებულ, ოდნავ შემლილ თვალებს, მამუკა დახვდებოდა მიღმიური სამყაროს ზღურბლზე, – ნუ გეშინია, მამაო, – ეტყოდა, გამოუწვდიდა ხელს და შეაცურებდა უწონადო სივრცეში, იქ, სადაც სულებს ერთმანეთის ესმით და უყვართ.

**მაკა ჯოხაძე
მწერალი**



მამუკა სალუქვაძე

ქავკასიონის მთაანეთის გუშაგები

ალმასავლეთ კავკასიონი: ფხოვი, თუშეთი
და სამხრეთ დაცვესტანი

ანტიკურ ხანაში, როგორც ვნახეთ, საზღვრის ეს მონაკვეთი მთავარ წყალგამყოფს მიუკეთდა და ზოგი ისტორიული თემი ქართული სახელმწიფოებრიობის მიღმა რჩებოდა. კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე განთვისებულ თემთა შემოერთების პროცესი ინტენსიურად IV-VI სს-დან წარიმართა. დიდ როლს კულტურული (ქრისტიანობა) და ეკონომიკური კავშირურთიერთობები თამაშობდა.

IV ს-ის 20-იან წლებში, როდესაც წმინდა წინო და მირიან მეფის ერისთავი ქართლის მოსახლეობის გასაქრისტიანებლად გაემართნენ, მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მთის მოსახლეობამ. ფხოველებმა (ფშავებურებმა) აყრა-გადასახლებაც კი აირჩიეს: „ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანაზ მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს. არამედ დაუმძიმა მათ მეფებმან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისძება“¹. ამ ცნობის საფუძველზე პირიქითა ხევსურეთს და თუშეთს გამორიცხავენ IV ს-ის ქართლის სამეფოს საზღვრებიდან. VI საუკუნეში აღმოსავლეთ კავკასიონის მთიელები საქართველოში მოღვაწე ასურელმა მამებმა მოაქციეს ქრისტიანებად (მათი საქმიანობა, როგორც ვარაუდობენ, დალესტანსაც სწვდებოდა). მთისა და ბარის სარწმუნოებრივ დაკავშირებას წინ პოლიტიკური გაერთიანება უსწორდა. ქართულმა საისტორიო ტრადიციამ ეს ტეხილი ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა.

კახეთში არჩილის (739-762 წწ.) მოღვაწეობის აღნერისას მემატიანე შენიშნავს: „მოვიდა არჩილ კახეთად და... დაჯდა წუქეთს... პოვნა წუქეთის მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა (ე.ი. გორგასალს – ავტ.) წუქეთი“. VIII ს-ში წუქეთი რომ მართლაც ქართლის საერისმთავროს საზღვრებში ექცეოდა, ამას თანამედროვე სომეხი ისტორიოსებიც მონმობენ, არჩილის დროს ეს თემი ექვემდებარებოდა ვინმე აბუზუასროს, „რომელი ერისთავობდა თუშეთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთასათა“... თუშეთი პირიქითა აღაზინისა და თუშეთის ალაზნის ხეობებში მდებარეობდა; დასახელებული სამხრეთდაღესტნური ქვეყნებიდან წუქეთი, იგივე წაზური, მდ. სამურის სათავეებს მოიცავდა, ხოლო ხუნძეთი – ავარიის ყოისუს ხეობას; VIII საუკუნიდან ხუნძები იმდენად ძლიერდებიან, რომ თითქმის



მეცნიერებული გორგასლი

მთელ სამხრეთ დალესტანს აერთიანებენ; ამიტომ ქართული წყაროდან მოტანილ ამონარიდში ხუნძეთის მხოლოდ სამხრეთი წანილი უნდა იგულისხმებოდეს.

კიდევ ერთ დალესტნურ თემს, დიდოს, ანდის ყოისუს ხეობა ეკავა. VI ს-ის სირიელი მწერლის, ზაქარიას ცნობით Dadu-ს (ე.ი. დიდოს) სამეფოს მცხოვრებნი... მთებში არიან დაბინავებულნი და ციხეები აქვთ“. ციტირებულ ფრაგმენტში დიდო მთიანი დალესტნის სინონიმად გვევლინება. არაპი ისტორიკოსი ალ-ბალაზური (820-892 წწ.) VI ს-ის ამბების გადმოცემისას დუდანიები (დიდოელების) კარს არაში ასახლებს (სატომო სახელი, ალბათ, აქაც ფართო მნიშვნელობით იგულისხმება). იმავე ისტორიკოსის თხრობიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ VII საუკუნის შუახანებისთვის დიდოეთი (ცინწრო მნიშვნელობით) ქართული სახელმწიფოს წანილადაა ქცეული – ის დასახელებულია ქართლის საერისმთავროს იმ ქვეყნებს შორის, რომლებზეც არაბული „დაცვის სიგრძის“ (654/655წწ.) პირობები გავრცელდა.

ამრიგად, ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთი ქვეყნების შემომტკიცება ვახტანგ გორგასალმა დაიწყო (პირიქითა ხევსურეთი თუშეთი, წუქეთი), ხოლო მემკვიდრებმა დაასრულეს (დიდოეთი, ხუნძეთი). ეს მთიანეთი კახეთ-ჰერეთის ბარს გაუერთიანდა.

კავკასიონის მთიანეთი საქართველოს ზურგი იყო. მთიელები, ბარელებთან ერთად, მედგრად იცავდნენ ჩვენს მიწა-წყალს, უპირველესად კი – ჩრდილოეთის მისადგომებს. ერთი ხალხური თუშური ლექსი ამბობს კიდეც: „უნინ ჩვენი მამა-პაპანი სისხლით რწყავდნენ მთის კალთებსა, მტერსა მტრულად უხვდებოდეს, ხმლით იცავდნენ ჩვენს საზღვრებსა“, ასეთივე გუშაგები იყვნენ სვანი, დვალი, მოხევენი, ფშავ-ხევსურნი, დიდონი, ხუნძნი, წუქელი.

ალმასავლეთის საზღვარი. პირები

ქართლის სამეფოს (შემდეგ, საერისმთავროს) საზღვრების გაფართოებას კავკასიონის მთიანეთში წინ უსწორდა და პირობებდა კიდევ აღმოსავლური პოლიტიკა: ჰერეთის თანდათანობითი შემოერთება, მისი წაყოფიერი მიწებისა და ზამთრის საძოვრების მიზანმიმართული ათვისება, აქ გამავალ მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალებსა და ლოკალურ „ცხვრის გზებზე“ გაბატონება.

IV ს-ის დასაწყისისთვის სუჯეთიც (ივრის შუა წელი) და ბოდბეც (კამბეჩანის ნაწილი) მირიან მეფის საბრძანებელში შედიოდა: ორივე მხარე წმინდა ნინომ განანათლა. ჰერეთი (გვიანდელი გალმამხარი) კი ქართლის სამეფოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა. IV-VI სს. ვითარების ამსახველი „აშხარაცუიცი“ ეხნის, გევგავისა და ბეხის კანტონებს, ანუ ჰერეთის მნიშვნელოვან ნაწილს (გვიანდელი ზაქათალის ოქლს), ალბანეთის საზღვრებში ათავსებს. მასვე ეკუთვნოდა, ალბათ, ლაგოდეხიც, რომელიც ერთი გვიანდელი დოკუმენტის (1031-1033 წე. შედგენილი ეგ.ნ. „მელქისედეკის დაწერილი“), თანახმად ჰერეთის თემს წარმოადგენდა. „სომხური გეოგრაფიიდან“ ისიც ირკვევა, რომ კამბეჩანის აღმოსავლეთის ნაწილი, „მტკვრამდე გადაჭიმული უდაბნოები“ (შირაკის, ელდარისა და ჯეორგანჩელის სტეპები), ასევე, ალბანეთის კანტონებს ქმნიდა. გამოდის, რომ ალბანელთა პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად, საქართველოს სამეფომ დაკარგა იმ მიწების ნაწილი, რომლებიც მას ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეკუთვნოდა.

V ს-ის შუახანებისთვის კი სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს. „და ვითარცა მოიწია იგი სპარსეთიდან მომავალი ვარსექნ პიტიახში – ავტ.) საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა...“

„შუშანიკის მარტვილობიდან“ დამოწმებული პასაური ეჭვს არ ბადებს, რომ ჰერეთი ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა. ჰერეთში არა მხოლოდ ალაზნის გალმამხარი, არამედ მტკვარსა და ალაზანს შორის მოქცეული ტერიტორიაც (აღმოსავლეთი კამბეჩანი) იგულისხმება, რადგან სპარსეთიდან მომავალი ვარსექნი ქართლს მტკვრიდან მოადგებოდა. V-VI სს. მი-



ჯაზე ქართლის სამეფოს ამ უკიდურეს აღმოსავლეთ თემში რამდენიმე საეპისკოპოსო არსებობდა: ბოდბის, ქერმის, ხორნაბუჯის, გიშის. გიში დღევანდელი კიშისწყალზე მდებარეობდა და ჰერეთის უკიდურესი განაპირი კუთხე იყო, შაქის მოსაზღვრე.

ჰერეთის საზღვარი ალაზნის გალმამხარში თუ შედარებითი სტაბილურობით ხასიათდებოდა, კამბეჩანში ქართულ-ალბანურ ინტერესთა დაპირისპირების კვანძი იხლართებოდა; დროდადრო სადაც მხარეში სპარსელებიც ჩადებოდნენ. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ წერილობით წყაროთა მონაცემებს თუ შევაჯამებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: V ს-ის 80-იან წლებისთვის კამბეჩანზე ალბანეთის მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა, იმავე საუკუნის მიწურულისთვის – ქართლის მბრძანებლის; VI საუკუნეში, ასურელ მამათა მოღვაწეობის წყალობით, იქ ქართული ქრისტიანული კულტურის მძლავრი კერა დაარსდა; ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამის (572-590 წე.) ბრძანებით, ვინმე

„ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი (რომელსაც დროებით ხელთ ეგდო კამბეჩანი – ავტ.) და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯის“; VII ს-ის შუახანებისთვის კამბეჩანი ალბანთა მეფის ხელდებული ქვეყანა ხდებოდა.

VIII საუკუნეში პოლიტიკური გეოგრაფია კვლავ შეიცვალა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არჩილის ხელისუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ ჰერეთზე (გალმამხარზე), არამედ – კამბეჩანსა და შაქზე. მისი გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთი ქართლის საერისმთავროს გამოიყო. წარმოიქმნა ჰერეთის, ანუ შაქის, სამთავრო; მისი აღმოსავლეთი მიჯნა შაქსა და კაბალას შორის იდო, კავკასიონიდან გამომავალი იმ ქედის გაყოლებით, რომელსაც დღესაც გურჯი-დალი, ანუ ქართველთა მთა, ენოდება; ჰერეთის (შაქის) სამხრეთი საზღვარი კი

მტკვარს მისდევდა და დროდადრო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე პროვინციებსაც მოიცავდა. ასეთი იყო ქართული სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრები დიდ თურქობამდე (XI ს-ის ბოლო).

სამხრეთის საზღვრები

ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ქვემო ქართლი, იგივე გორაგენე – გუგარქი იბერია-არმენიის ცილობის საგანს წარმოადგენდა და ძვ. წ. II საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე ხელიდან ხელში გადადიოდა. 299 წლის ნისიბინის ზავით კავკასია რომის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული; რომის იმპერატორებმა – დიოკლიტიანემ (284-305 წე.) და კონსტანტინე დიდმა (306-337 წე.) – ქართლისა და სომხე-

თის გამიჯვნის საკითხსაც მიაპყრეს ყურადღება. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, კონსტანტინე კეისარმა ქართლისა და სომხეთის მეფეებს, მირიანსა და არშაკს საზღვრად მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედი დაუდო, ანუ მთელი ქართლი III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისში კვლავ ქართულ სახელმწიფოს შეერწყა. V საუკუნის სომები ისტორიკოსი მოგვეს ხორენაციც აღნიშნავს, რომ მეფე მირიანი ქვემო ქართლის მბრძანებელი იყო და გუგარქის პიტიახშის ტიტულსაც ატარებდა. მირიანის მემკვიდრეების მეფობაშიც „სამშვლდითგან მიმართ ქვეყანა და თავამდე აბოცისა“ ქართლის სამეფოს საზღვრებში რჩებოდა.

ზოგიერთ სომხურ წყაროში სომხეთის გაქრისტიანების თხრობისას აბოცის მთავარი და გუგარქის პიტიახში სომხეთის მეფის დიდებულთა შორის იხსენიებიან. წყაროთა ჩვენებები შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: 1) გუგარქი ქართლს IV ს-ის 20-30-იან წლებში დაუბრუნდა, 2) ანდა კიდევ, სარგებლობდნენ რა თავიანთი სასაზღ-



ხევსურეთი

ვრო მდებარეობით, ქვემო ქართლის პიტიახშები დრო-დადორ ლოიალობის (ვასალობის) ვექტორს იცვლიდნენ ქართლსა და სომხეთს შორის. ერთ ასეთ შემთხვევაზე V ს-ის 50-60-იან წლებში სომხეთის მეფე არშაქ განუ-დგნენ მისი დიდებულები, მათ შორის გუგარქის ბდების, ძორის გავარის უფალი და კოლბის გავარის უფალი და ქართლის მეფეს ეყმნენ. მოგვიანებით, 70-იან წლების

დასაწყისში სომეხთა მხედართმთავარმა მუშელ მამიკო-ნიანმა დაიმორჩილა გამდგარი დიდებულები, სიკვდი-ლით დასაჯა გუგარქის ბდები და საზღვარი ქართლად მდ. მტკვარზე დადო.

თხრობა, უდაკოდ, გაზვიადებულია; როგორც IV ს-ის რომაელი ისტორიკოსი, ამიანე მარცელინელი ამტკი-ცებს, ქართლის სამეფო მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაც. მისი ცნობით, 371 წელს რომმა და სპარ-სეთმა ქართლში თავიანთი კანდიდატურები გაამეფეს, ხოლო საზღვრად შუაში მდინარე კიროსი (მტკვარი – ავტ.) დაიდო. რომაელთა მოკავშირეს არმენიისა და ლა-ზების მოსაზღვრე მხარე ერგო, ხოლო სპარსელებისას – ალბანიისა და სპარსელების. რომაულ ნაწილში გამე-ფებული მეფე, როგორც ჩანს, პრორომაულად განწყო-ბილი სომხეთის მეფის გავლენასაც განიცდიდა; ამიტომ, სომხურმა საზოგადოებამ ის სომხურ პოლიტიკურ სი-ვრცეში შემომავალ ხელისუფლებად ჩათვალა.

ზაზა აპაშიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



თბილისში, ვაკის რაიონში ელიზბარ მინდე-ლის ქუჩაზე მიმდინარეობს წმინდა გრიგოლ ხანძ-თელის სახელობის ტაძრის მშენებლობა. გთხოვთ, შეიტანეთ ოქვენი წვლილი, ერთად ავაშენოთ ლვ-თის სახლი. წინასწარ გიხდით მაცლობას.

ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი უგრიესიძია



GE94LB0115137832317000

LBRTGE22

სა ლიბერთი ბანკი

GE64BG0000000670704800

BAGAGE22

სა საქართველოს ბანკი

GE73TB7344136080100005

TBCBGE22

სა თიბისი ბანკი

...შურსა და ცილზე ამაღლებული...

სოლომონ ხუციშვილი
ლევან გოთუა 80

გულმტკივნეულად ვიგონებ ლევან გოთუას ყოველ- თვის. მისი სიკედილი გამაოგნებელი იყო. ვერაგმა სენმა უცბად მოსწყვიტა სიცოცხლეს ის ადამიანი, ვისაც სი- ცოცხლე ყველაზე მეტად უღირდა, რომელმაც სასწა- ულებრივად გაუძლო დიდსა და გრძელ განსაცდელს და ცხოვრების დიდი ცოდნით შეუდგა მწერლურ მოღ- ვაწეობას.

ლევან გოთუა უკვე საქმაოდ ასაკოვანი შემოვიდა ქართულ მწერლობაში, გვიან შემოსულს უნდა მოენეს- რიგებინა ნანახი და განცდილი, უნდა შეესწავლა, შე- ეგნო და შეეცნო მოქმედების ასპარეზი ჩაფიქრებული მოვლენებისა, ბრძოლებისა, ადამიანებისა, უნდა ენახა მთაცა და ბარიც, ტყეცა და მდინარეც, უნდა აპყოლ- ჩაჰულოდა მტკვარსა და ალაზანს, ასულიყო მწვერვა- ლებზე, ზემოდან დაენახა თავისი მოქარგული სამშო- ბლო, წარმოედგინა და წარმოესახა ქვეყნის წარსული და აწყო, ყველაფერი ეს მას მომავლისათვის თვალის გასასწორებლად უნდოდა.

მართლაც და ასე იყო: ლეონტი მროველის ქვაჯვა- რი იპოვა, კაცხის სვეტზე და მყინვარის გამოქვაბულში ავიდა, „ხდედალეული“ გახდა, სამხრეთი საქართველო მოიარა, სვანეთი და რაჭა მოიხილა, ალაზანზე ნავით იარა, ჯამჯამა და ცხრანწყარო დალაშქრა.


ლევან გოთუამ საქართველოს წარსულიდან გამოი- ხმო ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწე ადამიანები, მათთან საუბრობდა, მათთან ერთად დადიოდა თავის სამშობლოში, მათთან ერთად იყო კრწანისა და დიდ- გორში.

მაგონდება მისი დრამა „უძლეველნი“, დადგმული მარჯანშვილის თეატრში. პიესა მან მიუძლვა დიდი ომის თემას. ლევანმა აღწერა ჩაძირული წყალეჭვეშა ნავის ეკიპაჟის თავგადასავალი, მათი სიცოცხლის უკანასკნე- ლი საათები და წამები. საოცრად დაძაბული ვითარება და ადამიანები იყო გამოხატული პიესაში, განნირულნი, მაგრამ უდრევნი. იქნება თავისი განცდებიც ჰქონდა შე- რეული თავისი პიესის გმირთა თავგანწირვაში...

მწერალს უყვარდა ადამიანის ცხოვრების ისეთი მო- მენტების ჩვენება, როცა სასწორზე შეგდებული ყო- ფნა-არყოფნა. მაშინ სული სძლევს ყველაფერს, როცა ქვეყნის, სამშობლოს საკურთხეველზე მიაქვთ ყოველივე პირადული.

ამგვარი რამ მხოლოდ დიდ ადამიანთა ხვედრია, გულვიწრო და გულნამცეცა ადამიანი ამას ვერ ჩაიდენს! ალბათ, თავისი თავგადასავლის მომენტები ეძალებოდ- ნენ მაშინაც მწერალს.

ლევან გოთუას ისტორიული რომანების გმირები თუ მინანქრის ოსტატობით დაწერილი მოთხრობების პერსონაჟები დიდი გამძლეობისა და შესაძლებლობა- თა მქონენ არიან. როცა გამახსენდება „უგზო ქარა- ვანი“, „სიბრძნე სიკედილისა“, „ყინწვისის ანგელოზი“, მაშინ ცნაურდებიან ის დღეები, როცა ლევანთან ერთად ყვიფილვარ ტანძიასა და ტანას ხეობაში, ჩვენს დედა-



ლევან გოთუა

ქალაქში თუ მტკვრის ნაპირებზე, არაზსა თუ არაგვის ჭალებში, საგურამოში, ილია ჭავჭავაძის საუფლოში თუ სხვაგან და ახალი სახითა და განცდით შემოდიან შეგ- ნებაში ლევან გოთუას გმირთა განცდანი, მათი აზრები და ფიქრები, სიყვარული ადამიანისა, ერისა, სამშობლო- სი; ცოცხლდებიან საქართველოს დიდებული შეილები, დედოფალი ქეთევან და დედოფალი მარიამ, აღმაშენე- ბელი დავით და მესიტყვე-მომღერალი ბესიკ, ბერდიდი ზოსიმე და ქოხსალამურა; მათ ნაკვალევზე დავყავდით მწერალს, მათთან ერთად განვიცდით გამარჯვება- თა სიხარულს და უფრო მეტად, სიმნარეს თუ ვარამს დახლართული და ძნელად გასაგნები ცხოვრებისეული გზების გამო.

ლევან გოთუამ „სერაფიტში“ თქვა: „პოი, რა მძაფრი ყოფილა სიკედილის შემდეგ წაკითხული, მოჩურჩულე ცოცხალი სიტყვა!“

მართლაც!

ახლა მძაფრად განვიცდით ცოცხალ სიტყვასა და აზრს მწერლისას მისი სიკედილის შემდეგ, რადგან მწერლის გახსენება გვიხდება უდროოდ შეწყვეტილი შემოქმედებით. წევს ახლა ლევან გოთუა თავისი საოც- ნებო არმაზის მინაში და ადგას კარგი ხელოვნებით შე- ქმნილი ძეგლი. მას ხომ ამოუწურავი დარჩა სათქმელი, მან ხომ ბოლომდე ვერ მიიტანა ბრწყინვალე ჩანაფიქრი. იმდენი რამ იცოდა მან, იმდენი რამ ნახა და იმდენი რამ განიცადა უილბლო ცხოვრებაში, რომ სათქმელი და სა- აზროვნო ბევრი დაუგროვდა. საქართველოს ისტორიაც



ხომ ამოუწურავი სარბიელია პოეტური შემოქმედებისა და ფანტაზიისათვის. ნამდვილად მომხდარი რამდენი ამბავია ჩვენი ხალხის ისტორიაში, რომელთაც მწერლის კალამი არ შეხებია. თითოეული ნაბიჯი ისტორიული სინამდვილისა ლევან გოთუას კალმისათვის მიმზიდველი მასალა იყო. მის ერთ-ერთ შესანიშნავ ნოველაში, რომელსაც მან „კრწანისის სევდა“ დაარქვა, მეფე ერეკლეს ბრძოლებით აღსავსე ცხოვრების მხელოდ ერთი დღე არის აღნერილი: წლისთავი 1795 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიისა.

იმ ერთ წელიწადში რა და რაზე არ იფიქრა ერეკლემ, რამდენჯერ გაიხსენა თბილისის შავი დღე, როცა აღა-მაშმალმა წაბილნა და მოთხარა ჩვენი თბილისი, რამდენი ვინმე გაიხსენა მეფემ მათგან, ვინც მასთან ერთად თბილისის კედელთან, კრწანისის ველზე დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში. ერეკლე თავისი მებრძოლების მოსაგონებლად და სულის მოსახსენიებლად ჩავიდა კრწანისს და იქ შეხვდა ასევე თავისი შვილებისა და მათ თანამებრძოლთა სულის მოსახსენიებლად მისულ უსინათლო მოხუცს, რომელიც კრწანისში ბრმა თვალებითა და ნათელმხედველი გონებით მოსულიყო.

საოცრად მართალი და გულისშემძვრელი პოზიცია დაჭირა ავტორმა და ორი მოხუცი ადამიანი – მამა ერისა და მამა თავისი შვილებისა ერთმანეთს შეახვედრა ისე, რომ უსინათლოს არ დაუნახავს, ვის ესაუბრებოდა, ვის ვარამსა და გულისტყვილს ისმენდა. ბებერი ლომთათა უტყუარი გრძნობით მიხვდა მოსაუბრის ვინაობას, თუმცა არც ლომთათამ და არც მეფემ ერთმანეთი არ გაამჟღავნეს, ერეკლემ იცნო თანატოლი ქართველი მეომარი, ლომთათაც გუმანით გრძნობდა, რომ მეფე ერეკლეს ესაუბრებოდა. ორი მამის, ორი მოხუცის, ორი გულმოკლული ადამიანის საერთო სამძიმარი და

საერთო ურვა გამოხატა მწერალმა.

კითხულობ „კრწანისის სევდას“ და შეუძლებელია ცხადად არ წარმოიდგინო უბედურება მამის, რომელმაც სამი ვაჟკაცი შესწირა კრწანისს და უფრო დიდი უბედურება მეფისა, რომელმაც საუკეთესო მებრძოლნი ამ ველზე დაკარგა, დატოვა მამულის სამსხვერპლოზე მიტანილი ურიცხვი ახალგაზრდის სიცოცხლე.

„კრწანისის სევდა“ დიალოგია ერეკლესა და ლომთათას შორის. მეფე თითქოს ანგარიშს აპარებს თავის ერთგულ მსახურს და უჩვენებს კიდეც იმ ადგილებს, სადაც დაიხოცნენ ლომთათას შვილები, მისი უმცროსი ხუტა – ბიჭი, რომელიც თავისი მეფის დამცველთა შორის იდგა და მეფისთვის მოქნეულ ხმალს თვითონ აეფარა. „იქ ჩანვა შენი ხუტა-ბიჭიც. სხვას მისცა გზა და თითონ დარჩა, უბედურ მეფესაც მან გაუკაფა სავალი...“ – უამბო უსინათლო ლომთათას მეფე ერეკლემ.

იცოდა ლევან გოთუამ რა უნდა ეთქვა, რა უნდა დაეწერა. მან ისიც იცოდა, თუ რა გზები უნდა გამოენა მეითხველის შეგნებამდის თავისი ჩანაფიქრის მისატანად. იცოდა და ამ ცოდნით შექმნა თავისი შემოქმედება, რაც მისი ავტორის არყოფნას ასე მტკიცნეულად განგვაცდევინებს.

დიახ, ლევან გოთუა ქართული სიტყვის ჯავარმცოდნე იყო და განუზომლად დიდი უნარი შესწევდა თავის მხატვრულ აზრთა დინებაში მკითხველის გონების ჩაბმისა.

ა. სოსელია

მადლიერების ერთი დასტური

შესანიშნავი მწერლისა და მამულიშვილის ლევან გოთუას დაბადების 80 წლისთავს კარგი საჩუქარი უძლვნა გამომცემლობა „მეცნიერებამ“. – ეს არის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ანდრო მირიანაშვილის წიგნი, რომელიც ლევან გოთუას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს.

წიგნში საინტერესოდ არის განხილული სახელოვანი ქართველი მწერლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მოთხოვბილია მის მისაბაძ მამულიშვილობაზე, მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტ სიყვარულზე.

ლევან გოთუას მთლიან პიროვნებაზე, მის შემოქმედებით მრწამსზე საუბრისას, ავტორი მოხერხებულად იშველიებს სხვათა აზრსაც, აგრეთვე, თვით მწერლის გამონათქვამებსაც, რომლებიც თავისთავად ცხადყოფენ იმ მწერლურ და მამულიშვილურ კრედიტს: „ვინც კალამი მოწოდებით აიღო ხელში, ამით მან ბევრ რამებზე აიღო ხელი, ბევრი რამეც ითავა. აღბათ, გაითვალისწინა, რომ თუ კალამი ბატრონის ცოცხალი წიფითა და გულის ხორცით არ იკვებება, ისე არ კალმობს“...

და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. მირიანაშვილი, ამ სიტყვების ავტორმაც მხოლოდ მოწოდებით აიღო ხელში კალამი, მამულის წინაშე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და მტკვრის ნაპირზე, არმაზის ხევის წმინდა მინაში ჰპოვა სამუდამო სავანე.

ა. მირიანაშვილის წიგნი ლევან გოთუას ხსოვნის წინაშე ჩვენი მადლიერებისა და მოკრძალების ერთი გამოხატულებაა.

**ელგუჯა მალრაძე
კეთილშობილი მამულიშვილი**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გეოლოგია გირჩები ქონიძის ეპირველები გაზაფხუა და საქართველოს იური

საქართველომ წინაპრებიდან დანატოვარი მემკვიდრეობიდან ყოველივე ღირებული საღი გონებითა და ფხი-ზელი თვალით გადაარჩინა. ქართველები თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ძელი ხუროთმოძვრების, ლიტერატურის, ქანდაკების, ფერწერის, მუსიკისა და ხელოვნების ნიმუშებს. წარსული საუკუნეების ბობოქარ-მა დინებამ ქართველის ხასიათი ჩამოაყალიბა, – იგი მშვიდობისმოყვარე და მშრომელია, მტერთან შეურიგებელი, პირდაპირი, მოყვარესთან ალალი და გულუხვი. ქართველის მთავარ თვისებად მიმაჩნია, რომ ჩვენებური კაცი ძნელად აყრება მშობლიური მიწა-წყლიდან. ის ვერ ეგუება უცხო ქვეყანაში შეხიზვნას. თითოეულ ქართველს ვურჩევ, სიტყვით და საქმით გაამართლოს ქვეყნის სიყვარული. (1972 წელი გაზეთი „სამშობლო“ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ძონენიძე).

გიორგი ძონენიძის შეფასების შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. მიუხედავად ამისა, დღეს, მთავარი საკითხი ემიგრაციაში მყოფი ქართველების მდგომარეობაა. ინტელექტუალური ნაწილი საზღვარგარეთ მოღვაწეობს და ქვეყანაში დაბრუნების პერსპექტივას ვერ ხედავს. მომავალი თაობისთვის გიორგი ძონენიძის ცხოვრება და მოღვაწეობა თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ ემსახურო სამშობლოს. რჩეული სწავლული, კარგი პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ძონენიძეს შეუპოვარი და მებრძოლი ხასიათი ჰქონდა, მას უკანდახევა არ სჩვეოდა. მეცნიერის მდიდარ მემკვიდრეობაზე გეოლოგთა თაობები აღიზარდნენ. მან არა მარტო წმინდა თეორიული პრობლემები გადაჭრა, არამედ მრავალი გეოლოგიური გამოყენებითი ასპექტი დაამკიდრა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი გახდა.

მეცნიერება უმთავრესი, უმშვერიერესი და ადამიანის სიცოცხლისთვის ყველაზე საჭირო რამ არის – ანტონ ჩეხოვის ეს გამონათქვა-მი გიორგი ძონენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თეზა იყო. დედა-ივლიტა ახალაძე დაბა ჩოხატაურში სოფელ კოხნარში ცხოვრობდა. ქალაქ ქუთაისში სამსონ ძონენიძე და ივლიტა დაქორნინდნენ. გიორგის ძალიან უყვარდა დედულეთი. 1925 წელს ის თსუ-ის ქიმიურ-ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმავე წელს აღნიშნული ფაკულტეტი დაიხურა, სხვა სტუდენტებთან ერთად აგრონომიულ ფაკულტეტზე გადაიყვანეს. სტუდენტი მინერალოგიის საგანმა გაიტაცა, პროფესორ ალექსანდრე თვალჭრელიძის თხოვნით, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადავი-

და და გეოლოგიის განხრა აირჩია. მან მთელი ცხოვრება გეოლოგიას დაუკავშირა. 1943 წლიდან თსუ-ის დოცენტია, პარალელურად მუშაობდა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის და საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს უფროსად და ტექნიკურ ხელმძღვანელად. გამოყენებითი გეოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობის დროს მეცნიერული მოღვაწეობა გააგრძელა. გიორგი ძონენიძემ ძირითად მიმართულებად პალეოვულკანოლოგია აირჩია. 1938

წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, 1940 წელს დაინიშნა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანად. მეცნიერმა კვლავ გააგრძელა პალეოვულკანიზმის პრობლემების შესწავლა. საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩატარებული ინტენსიური კვლევის შედეგები აისახა მის მონოგრაფიაში – საქართველოს მიოცენურამდელი ეფუზიური ვულკანიზმი გამოყენებითი გეოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვდა, დადგინდა ბარიტის ძარღვების სივრცობრივი და გენეტიკური კავშირი ბიოსურ ბაზალტ-ანდეზიტური შედგენილობის ქანებით აგებულ ნაოჭა სტრუქტურებთან, რამაც ბარიტის არაერთი საბაზოს აღმოჩენას შეუწყო ხელი. 1947 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1941 წელს გეოლოგიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა განყოფილება, სადაც შეისწავლა დანალექი ფორმაციების ლითოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები. ბათური ნალექების ლითოლოგია, რომელთანაც დაკავშირებულია ნახშირის საბაზოები და მათ შესახებ ახალი მონაცემები. გიორგი ძონენიძის ხელმძღვანელობით დასავლეთ



გიორგი ძონენიძე სფერიზმის ურთად



გილტე ძალის შეჯერტა დანის ღირეთ მატგარუ მეორეთან და მემკვიდრე პტიცე ჰერიტან

საქართველოს ბათურ ნალექებში ჩატარებული კვლევები 50-იან წლებში შეჯამდა მონოგრაფიად და რამდენიმე ნაშრომად, გადაიჭრა პალეოგეოგრაფიის და ლითოლოგიის პრობლემები. აღნიშნულ სამუშაოებს მოჰყვა გელათის მიდამოებში, ნახშირიანი წყების ზედა ნანილში, აუტიგენური ანალციმის საბადოს აღმოჩენა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი იყო. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ის აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. 1951-1955 წლებში საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მდივანი იყო. 1959 წელს მან გეოლოგიურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ჯერ პალეოგეოგრაფიის ლაბორატორია, შემდეგ განყოფილება, ჩვიდმეტი წელი იყო ხელმძღვანელი. გიორგი ძმინიძეს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა 60-იან წლებში გამოქვეყნებულმა ფუძემდებლურმა შრომებმა, რომლებიც მიეძღვნა გეოლოგიაში ახალ მეცნიერულ მიმართულებას, ვულკანიზმის როლს დანალექი ქანებისა და მაღნების ნარმოშობაში. ოკეანებში და კონტინენტებზე მიმდინარე თანამედროვე ვულკანიზმის მოქმედების შედეგების ანალიზის საფუძველზე, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საშუალო სიმძლავრის ვულკანის ამოფრქვევას, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია გეოსინკლინებისათვის, მოჰყვება სილრმიდან დიდი რაოდენობის პირველადი ენდოგენური მასალის ზღვის ფსკერზე ამოტანა. მისი ნარმოდგენით გეოსინკლინებში ვულკანური ცენტრები განლაგებული იყო ისეთივე სიმჭიდროვით, როგორც თანამედროვე წყნარი ოკეანის სარტყელში და ნალექების ძირითად მკვეპავ წყაროს ნარმოადგენდა. ვულკანიზმის ხასიათისა და ნალექდა-გროვების აუზში ვულკანოგენური მასალის ტრანსპორტირების გზების გათვალისწინებით გიორგი ძმინიძემ პირველმა შესთავაზა მადანნარმოქმნის პროცესების და მათთან დაკავშირებული ვულკანური საბადოების კლასიფიკაცია; მინისზედა-ვულკანოგენური, წყალქვე-შა-ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-დანალექი. მან ნამოსწია საკითხი შემცველი ქანების ლითოლოგიის გავლენის შესახებ, მაღნიან დანაგროვთა ფორმირებაზე. მსოფლიო მეცნიერებაში ასეთი მასშტაბურობით

მხოლოდ გიორგი ძმინიძის მიერ არის შესწავლილი ვულკანოგენური მოვლენების მნიშვნელობა ფართო გეოლოგიურ პროცესებში. 1958-1959 წლებში გიორგი ძმინიძე თსუ-ის მეთექვსმეტე რექტორი იყო. 1959-1976 წლებში დაინიშნა საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, პარალელურად იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის პალეოგეოლურანოლოგის განყოფილების გამგე. გიორგი ძმინიძე აირჩიეს ლონდონის გეოლოგიური საზოგადოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვულკანოლოგთა და სედამენტოლოგთა ასოციაციების წევრად. გამოქვეყნებული აქვს 150 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია.

1976 წლის 5 მაისს გეოლოგიურ ინსტიტუტში თავის კაბინეტში გიორგი ძმინიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მთელი ცხოვრების მანძილზე თავდადებით ემსახურა საყვარელ საქმეს და ხალხს. ის თითოეული ადამიანის კეთილდღეობისთვის იპრძოდა...

გიორგი ძმინიძის ცხოვრება კარგ ზღაპარს ჰგავდა, მას ფრიტუნამ გაულიმა, დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოილო, მეცნიერებაში წარმატებას და აღიარებას მიაღწია, მაღალი თანამდებობები ეკავა, ბედნიერი იყო ოჯახით, ჟყავდა საყვარელი მეგობრები და ნათესავები. მიუხედავად ამისა გიორგის თაობა ტრაგიკული თაობაა, მათ ღმერთი წართვეს, თავისუფალი აზრის გაფიქრებაც კი აკრძალული ჰქონდათ, იძულებული იყვნენ ნიღბებით ეცხოვრათ. ის კომპარტიის წევრი იყო, თუმცა ბოლო ოცი წელი ამ პარტიის არაფერი არ სწამდა. საქართველოს ხელისუფლებაში ჩვიდმეტწლიანი მოღვაწეობა მისი სულიერი ტანჯვის მიზეზი გახლდათ, არ ჰქონდა ლიდერის ფსიქოლოგია, მიუხედავად ამისა, იყო პრინციპული, პირდაპირი და მომთხოვნი. გიორგი ძმინიძემ საყოველთაო ჭაბბიდან სუფთად გამოსვლა შესძლო, რაც მისი დიდბუნებოვანობის დასტურია.

ლელა სურმავა



გილტე ძალის შეჯერტა და ერთა კუნძულის შევერტა

იღია ჟავაზაძის ბაჩდაცვალება

არქიმანდრიოტ ამპროსის მიერ (ხელაია) წარმოთქმული სიტყვები 1907 წლის 8 სექტემბერს სიონის საკათედრო ტაძარში ილიას პანაშვილის წინ:

...ვკადნიერდები და ვბედავ ამ დიდებული ცხედრის წინ ვთქვა ორიოდ სიტყვა...

დღეს, მთელი საქართველო დასტირის დი-დებული მამულიშვილის ცხედარს. დღეს, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა უდიდესი მგო-სანი, საუცხოო და თავდადებული სა-ზოგადო მოღვაწე, სიამაყე ეროვნუ-ლი ლიტერატურისა. აღარ გვყავს ილია ჭავჭავაძე – მოჭირნახულე თავისი ერის. ბარბაროსმა ბინძური ხელით მოკლა იგი.

მაგრა... მოკვდა კიდიდი ილია?! – იქმენ მორნმუნე, ვიდრე სიკვდი-ლამდე, და მოგცე შენ გვირგვინი იგი ცხოვრებისაო (გამოცხადება 2.10), გვიბრძანებს ჩვენ უფალი, მოციქული იოანე ღვთისმეტყველის პირით და გვისახავს, თუ როგორი უნდა ვიყოთ, ამ ქვეყნად რომ დავიმკ-ვიდროთ გვირგვინი უკვდავებისა. ნეტა-რია ის, ვინც პირნათლად ასრულებს თა-ვის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს – პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი (ფსალმუნი 115,6). იგი უკვდავია და უკუნისამდე დარჩება მაღლიერ ერში. ასეთი კაცი სიკვ-დილის შემდეგ, ისევ მასწავლებელი და დამრიცებელია, რადგან მოციქულის თქმით, სიკვდილის შემდეგაც მე-ტყველებს (ებრ. 11,4).

მაშასადამე, არ მომკვდარა ილიაც, – ის ცოცხალია. მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დადუმდნენ მჭერმეტყველებით განთქმული ბა-გენი, მაგრამ მისი საქმე ღაღადებენ და მუდამ იღალადებენ... ილია უკვდავად დარჩება, ვიდრე ქართველი ერი იარსე-ბებს. მეტსაც ვიტყვით, – ქართველები რომ გადაგვარდნენ, უკულმართი დრო-ების გამო, დიდებული მგოსნის ხსოვნა არ დაიკარგება, რადგან მისი ნანარმო-ებები ეკუთვნის, არა მარტო ქართველ ერს, არამედ კაცობრიობას, რომლის ნანილს შეადგენს ქართველობა...

განსვენებული მრავალმხრივ მოღ-ვანეობდა სამშობლოს საკეთილდღე-ოდ. ამიტომ, ასე მწარედ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ... ქართველნო, დაუკინებარია, არა ილიას გლოვა, არამედ ბედისგან განწირული ჩვენი სამშობლო – მისი დამკარგავი... საკმარისი არ იყო, რაც უკულმართმა დროებამ და ვითარებამ დაგვატება თავს, აღუნერელი უბედურება რომ არ დაგვემატებინა?! მაგრამ... დასაჯერებელია ეს უმაგა-ლითო, ბარბაროსული მკვლელობა ჩაედინა საქართვე-

ლის შვილს. შვილს იმ ქვეყნისა, რომლის თავგანწირულ დვანლში გაატარა განსვენებულმა მთელი ორმოცდათი წელი...

თუკი ეს ბრალი დაედო ქართველობას, მაშინ ჭეშმა-რიტად ჩვენი გახრნილობა, ზნეობრივი დაცემა, ველურობა, უკულმართობა იქნება სატირა-ლი. კარგად უნდა დაგვიქრდეთ, თუ გვ-სურს, დავრჩეთ ქართველ ერად. განს-ვენებული კი, ნეტარია. მან კეთილად განვლი გზა, მისი კვალი არასდროს წაიშლება, ეკლიანი გზა გაკაფულია. ილია სიცოცხლის ბოლო წუთამ-დე, ერთგულად ემსახურებოდა იმ იდეალებს, რომლებიც ამ ნახევარი საუკუნის წინ აირჩია, ერთი ნა-ბიჯით არ გადაუხვევია, არ უდა-ლატია... მოციქულის თქმით, გზა არის მისთვის გვირგვინი ცხოვრე-ბისა (გამოცხადება 2.10) გვირგვინი უკვდავებისა.

...ილიას გარდაცვალებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, უთუოდ ბე-ვრს გვასწავლის!..

მივიჩნიოთ, ეს ბარბაროსთაგან დალ-ვრილი სისხლი, ჩვენი ერის ცოდვების განწ-მენდად, უკულმართი გზიდან მოქცევად, ქართვე-ლების გასაერთიანებლად....

შევფიცოთ ცხედარს, რომ ვიქებით მისი ცნებების აღმასრულებელი, რომლებიც განსვენებულმა თავისი მოღვანეობით გვიანდერა...

გვექნება ერთობა ეროვნული იდეალების მიმართ, მაშინ კიდევ შესძლებს ჩვენი სამშობლო, შვას ილიას მს-გავსი მოღვაწე, და საბოლოოდ გაიხარებს მისი უკვდავი სული.

ღმერთო მაღალო და ძლიერო, გვაქმარე ეს უბედურება, იყოს ბოლო მსხვერპლი სამშობლოს საკეთილდღე-ოდ და ჩვენი ეროვნული ცოდვების გამოსასყიდად. მომავალში მსგავსი უკულმართი მოქმედებები არ გამოირ-დება და ერთად შევუდგებით სამშო-ბლოს აღორძინებას. თუ ასეთი მისია დაგვდო ამ მსხვერპლმა, ეს იქნება უკანასწერი დიდი ღვაწლი ილიასი – მისი ხანგრძლივი შრომის სასურ-ველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენგან კი, ნამდვილი ვალის გადახდა, მისი ან-დერძის აღსრულება და პატივისცემა განსვენებულის ხსოვნის.

ღმერთმა მოგვცეს ეს უნარი...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მა-მულისთვის თავდადებულო, მგოსანი ილიავ!..

ამავე დღეს, 8 სექტემბერს, სიონის საკათედრო ტაძარში ვასილ კარბელაშვილმა წარმოთ-ქვა გამოსათხოვარი სიტყვები. მან ქრისტიანული მო-



ანდრე კარბელაშვილი



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ზელაია)

ძღვრების ფონზე, გაშალა ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება. საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ვასილ კარბელაშვილმა საზოგადოებას მოუწოდა განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ. მან აღნიშნა, – სამარცხვინოა კალმის ბოროტად გამოყენება და დაუფიქრებელი აზრების წარმოთქმა, რასაც თავად ილია დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა!.. ასეთი კაცის მოკვლა, მიუტევებელი და შეუზიდობელი ცოდვაა. თუ ილია არ დაინდეს, ვის წინაშე უნდა შეუკრთხეს ხელი ამ მტარვალს?..

1989 წელს თბილისში გამოცემულ კრებულში ილია ჭავჭავაძის სიკედილი და დასაფლავება – 151-ე გვერდზე ვკითხულობთ, – ათასობით ადამიანი მოდიოდა სიონის საკათედრო ტაძარში საყვარელი ნეშტის წინაშე მუხლის მოსაყრელად და გამოსათხოვებლად. წესრიგი არ დარღვეულა, რადგან ხალხი იცავდა. განსვენებულის ცხედართან მუდმივად მორიგეობდა ოთხი-ხუთი კაცი. მოჰკონდათ გვირგვინები, ყვავილები, ამკობდნენ კუბოს. მოდიოდა სხვა ეროვნების ხალხი. სიონის საკათედრო ტაძრის ღვთისმშობლობის დღესასწაული სამგლოვიაროდ შეიცვალა. ამ დღეს, ოთხმა ეპისკოპოსმა იმერელ-ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად, გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. წირვის შემდეგ, სიტყვები წარმოთქვა მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა. მეორე პანაშვიდი გადაიხადეს ამავე დღეს 2 საათზე. სიტყვები წარმოთქვა არქიმანდრიტმა ამბროსმა. ბევრი ხალხი დაესწრო, მეორე პანაშვიდის შემდეგ, სიტყვები წარმოთქვა გ. ბ. გვაზავამ, ისაუბრა პოეტის მოღვაწეობაზე, როგორც სამწერლო, ისე საზოგადო სარბიელზე. ამავე დღეს ტფილისის სასულიერო სემინარიამ გადაიხადა პანაშვიდი. საღამოს ლოცვის შემდეგ, სიტყვები წარმოთქვა მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა.

* * *

ცხადია, ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილებს არქიმანდრიტ ამბროსთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. 1921-1927 წლებში, როცა საქართველოს კა-

თოლიკოს-პატრიარქი იყო, მათი ურთიერთობა უფრო საინტერესო გახდა.

...როცა თბილისიდან ზაფხულობით კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში, შევდივარ იმ სახლში, სადაც დაიბადნენ ჩემი პაპა ანდრია კარბელაშვილი და მისი უმცროსი ძმები ვასილი და პოლიევქტოსი, ყოველთვის ვიხსენებ მათ მიერ განვლილ წლებს, ლირსეულ მოღვაწეობას და მათ მეგობრობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ამბროსისთან (ზელაია)...

ანდრე კარბელაშვილი



წმინდანები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები

ქვევრისა და ქვევრის ღვინის ფანატი

პროფესორ გიორგი ბერიძის ხსოვნას მიეძღვნა ახალი წიგნი ქვევრი და კახური ღვინო, – წარმოდგენილია ქვევრისა და ქვევრის ღვინის ჩამოყალიბებისა და განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი უძველესი დროიდან დღემდე. გაანალიზებულია ბოლო წლების ექსპერიმენტული კვლევები. კაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მაგარი ნანილების და ღვინოების აქროლადი და არააქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთების რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობის ამსახველი მასალები. ნაჩვენებია მათი როლი კახური ღვინის არომატსა და გემოს, მათი ანტიოქეინდანტური უნარიანობის ჩამოყალიბებაში. ქვევრის ღვინის გამორჩეულობის დამადასტურებელი კვლევები, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების თუ კომპონენტების მნიშვნელობა კახური ღვინის მდგრადობის და ტიპიურობის ჩამოყალიბებაში. მონოგრაფიული ნაშრომი პირველი ცდა, წიგნის ამგვარი გამოცემის. განკუთვნილია, როგორც მეღვინეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ღვინის დაყენებით დაინტერესებული პირებისთვის.



თიხის უყელო ჭურჭელი – „დერგი“, შულავერი, ხრამის დიდი გორა. ძვ. წ. VI-V ათასწლეულები

ქვევრში ღვინის დაყენება საქართველოში ათასწლეულთა მანძილზე მომდინარე უწყვეტი და ცოცხალი ტრადიცია, და 8000 წელს ითვლის. ამ რეალობის დადგენაში არქეოლოგია გვეხმარება. სამხრეთ საქართველოს სოფელ შულავერის სიახლოვეს, ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილია თიხის საღვინე ჭურჭელი, ეგ. წ. დერგი და თიხის სხვა ჭურჭლის ნამტვრევები. თიხის ჭურჭელი თარიღდება ძვ. წ. აღ. VI ათასწლეულით,

ჭურჭელი თავისი ფორმით, შესრულების დონით და დანიშნულებით მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას გვაძლევს, – ჭურჭლის ყელთან, ოთხივე მხარეს გამოძრინილი ყურძნის მტევნის სტილიზებული გამოსახულებები, მიგვანიშნებს ამ ჭურჭლის დანიშნულებაზე, რომ ეს საღვინე ჭურჭელია, რაც ადასტურებს მისი შემქმნელის მხატვრული აზროვნების დონეს. დერგის ფორმა არა მარტო დახვენილი და ლაკონიური, არამედ ტექნოლოგიური თვალსაზრისით მიზნობრივად გააზრებული და ოსტატურად შესრულებულია. მისი კვერცხისმაგვარი ფორმა, გამობრილი გვერდებით და შევიწროებული ბოლო, მიგვანიშნებს ღვინის დაყენების ცოდნასა და გამოცდილებაზე. საშემსრულებლო ოსტატობის გარკვეულ სიმაღლეზე, არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, თანამდებოვე ქვევრი უნდა მოვიაზროთ, როგორც შელავერის დერგის, მემკვიდრეობითი და შემოქმედებითი განვითარების შედეგი, რასაც ადასტურებს ნეოლით-ენეოლითის პერიოდი, შემდგომ შუა და გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები (1). თუ ძვ. წ. VI ათასწლეულის თიხის საღვინე ჭურჭელი უყელოა, IV ათასწლეულში გვხვდება თიხის ჭურჭელი მცირე ზომის პირგამლილი ყელით (ბერიკლდეების ნამოსახლარი), ხოლო ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის



თეიმურაზ ლლონტი, ზურაბ ლლონტი

უკე ჩნდება მოზრდილი, პირგამლილი, განიერყელიანი თიხის საღვინე ჭურჭელი (ახალი უინვალი; ქვაცხელი). ქვევრის განვითარების ახალ ეტაპზე უნდა მიგავინმნებდეს ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მონითალოდ გამომწვარი დიდი ზომის თიხის საღვინე ჭურჭელი, პირგამლილი ყელით (თრიალეთი). ეს დრო უნდა მივიჩნიოთ, პირველ საფეხურად თანამედროვე ქვევრის ყელის ჩამოყალიბების გზაზე.

ყურადღებას იწვევს მაღალი ოსტატობით შესრულებული პირგამლილი, განიერმუცლიანი, ვინროპირიანი სარიტუალო ქვევრი (სამადლო ძვ. წ. აღ. IV-III ს. ს.). ლოგიკურია, თანამედროვე ქვევრის ჩამოყალიბების გზაზე, მემკვიდრეობის შემოქმედებითი განვითარების უწყვეტი ციკლი. ხუთი წლის წინ ალავერდის მონასტრის ეზოში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთის კედლის მიმდებარედ გათხრილი VII-IX ს. ს. დათარიღებულ მარაში ერთ-ერთი ქვევრი სწორედ პირგამლილებიანი გვხვდება, რაც შორეული ტრადიციის გამოძახების და ათასწლეულის დასაწყისი სიმბოლური ნიშანია.

ძვ. წ. VI ათასწლეულით დათარიღებულ თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენება, დასტურდება ამ ჭურჭელში აღმოჩენილი ვაზის ყვავილის მტევნის არსებობით, მიგვანიშნებს, რომ თიხის ჭურჭელში ყურძენი იყოლიტებოდა და ყურძნის ტკბილი დუღდა სრულ ჭაჭაზე (კანი, კლერტი, ნიპნა), ისევე, როგორც დღეს კახური ღვინის დაყენების დროს. ამ დასკვნას უფრო ამყარებს, თიხის ჭურჭელში დაფიქსირებული ღვინის ორგანული მუავების დანალექი, ნითელი ღვინის კვალი. ჩნდება კითხვა, – როგორ გაჩნდა ვაზის ყვავილის მტევნი მწიფე



თიხის პირგამლილები – „დერგი“, თრიალეთი, ძვ. წ. VI ათასწლეულის ნახევარი.

თიხის პირგამლილები – „დერგი“, თრიალეთი, ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი



თიხის პირგამლილები – „დერგი“, თრიალეთი, ძვ. წ. VI ათასწლეულის ნახევარი, ძვ. წ. IV ლი ტრადიციის გამოძახების დასაწყისი სიმბოლური ნიშანია.

ყურძნის მტევანზე, როცა ვაზი მასში ყვავის, ხოლო ყურქინი სექტემბერში მწიფდება? ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ყურძნის მტევანი ყვავილობის დროს ზედაპირზე იყავებს ვაზის ყვავილის მტვერს და ინარჩუნებს მას მწიფობამდე.

შულავერის თიხის საღვინე ჭურჭელი **დერგი** უძველესი ხანის ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლია საქართველოში. ამ საღვინე ჭურჭლის პირველობა შემთხვევითი არ ყოფილა, როგორც ირკვევა, შულავერის მიკროზონა საუკეთესო ადგილი იყო კახური ტიპის მისაღებად. პროფესორ კ. მოდებაძის თქმით, XX საუკუნის 20-იან წლებში შულავერის მიკროზონის ვენახები 600 ჰა-მდე ფართობზე იყო თიხის პირვაშლილყელია-გაშენებული. სავენახე ადგილების იდეალური ნი ჭურჭელი – „დერგი“, მდებარეობა, ნიადაგის შესაბამისი ფიზიკური ახალი ყინვალი, ძვ. წ. III თვისებები, განაპირობებდა ამ მიკრორაიონში ათასნლეული მაღალი ლირსების ღვინის მიღებას და კახეთის ზემო მხარის ღვინოებს არ ჩამორჩებოდა. აღსანიშნავია **ხარმან თავას, მანჩქალაანთ და მდივანთ ბაღები**, რომლებიც საკამა ექსტრაქტულობის მქონე კახური ტიპის ღვინოებს იძლეოდა.

ვიდრო კახეთში ნეოლითის ხანის თიხის საღვინე ჭურჭლის ტოლფარდი არქეოლოგიური ძეგლი არ აღმოჩნდა, ჩვენი ვარაუდით, ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს კახურ წესს სწორედ შულავერის მიკრორაიონში დაედო საფუძველი.

შულავერის კულტურის მნიშვნელობა, მხოლოდ იმით როდი ამოინურება, რომ შულავერში აღმოჩნილია თიხის პირველი საღვინე ჭურჭელი **დერგი**, ვაზის ყვავილის მტვერი და ნითელი ღვინის დანალექი, თიხის ჭურჭლის ნატეხზე. არამედ ჩვენ ვხედავთ მრავალდარგოვანი, შიდამეურნეობრივი სტრუქტურის პირველსაწყისებს, რასაც ადასტურებს იქ აღმოჩნილი ყველა შინაური ცხოველის ნაშთი. მარცვლეული კულტურების – ხორბლის, ცხრა და ქერის ხუთი სახეობის, ასევე, ბარდის ოსპის, შვრიისა და სხვების არსებობა. არქეოლოგიური მასალები – ირმის რქის სახნისი, ვულკანური მინის, ობსიდიანის კაუისგან დამზადებული დანისებრი ფირფიტები, საჭრისები, საფხექები, ნამგლის ჩასართები და სხვა იარაღები. ასევე აღმოჩნილია საყოფაცხოვრებო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, სამკაულების ცალკეული დეტალები და თარიღდება ძვ. წ. აღ. VII-V ათასნლეულებით – **შემთხვევით როდი უნდოეს შულავერის კულტურის ეპოქას ნეოლითური რევოლუცია**.

ამ ეპოქის კულტურული მონაპოვარია ბოლო დროს, შულავერის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნილი ფილიგრანულად გამოკვეთილი ძვლის კოვზი და ძვლის სადგისები, სამსჭვალები და სხვ. მიგვანიშნებს, რომ კარგად ჰქონდათ ათვისებული ძვლისა და ირმის რქის დამუშავების ტექნიკითა, – **შულავერის კულტურული მონაპოვარი ცივილიზაციის პირველ და უძველეს საფეხურს წარმოადგენს**.

კულტურის დედობის ფერმენტი

მავანი ამფორას და ქვევრს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ, ეს ტერმინები, ალბათ, სინონიმებად მიაჩინათ. **აძფორი** არ არის ქვევრი, ის ქვევრის მსგავსი ჭურჭელია, ქვევრისგან განსხვავდება კონფიგურაციით და დანიშნულებით. ქვევრი მინაში ყელამდევა ჩაფლული, იგი მყარი, ხანგრძლივი დროის მანძილზე დასადუღებელი და



დადუღებული ღვინის დასავარგებელი ჭურჭელია, განაპირობებს მაღალი ხარისხის სამკურნალო, კვებითი და დიეტური თვისებების მქონე ღვინის მიღებას. ქვევრის მსგავსი ტიპის ჭურჭელს ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიის და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში, უპირატესად, ამფორის სახით. ჭურჭელს ზეთის გამოხდის ტექნიკოლოგიაში ან სხვა სითხის ტრანსპორტირებისთვის იყენებდნენ. ნაირი-ურარტუში ძვ. წ. I-ის დასასრულს, ქვევრის მსგავსი ღვინის ჭურჭელი მინაში სანახევროდ იყო ჩაფლული.. ეს წესი დღესაც არის შემორჩენილი სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში. თუმცა ვერ უზრუნველყოფს ღვინის დადუღების და დავარგისებისთვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურის სტაბილურ შენარჩუნებას. მაღალი ხარისხის თეთრი და წითელი კახური ტიპის ღვინი მიღება მხოლოდ კახეთში, ისიც გამორჩეულ მიკროზონებში – **რქანითელის, ხიხვის, კახური მწვანის, კახური მცვივანის, ქისის და საფერავის ვაზის ჯიშების ყურძნისგან**. თეთრი კახური ღვინი მიღება, როგორც თეთრყურძნიანი ჯიშების სეპაჟით (გარკვეული პროცენტული შემცველობით), ასევე დამოუკიდებლად, შეურევლად, თითოეული ჯიშისგან. კახური ტიპის მიღებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: 1. ვაზის ჯიში; 2. ნიადაგურ-კლიმატური პირობები; 3. ღვინის დასადუღებელი და დასავარგებელი ჭურჭელი – ქვევრი; 4. ქვევრის შაქრიანობა (23-26%). დაჭყლეტილი დურდო თავსდება ქვევრში. ყურძნის ტყბილი ალკოჰოლური დუღლილი მიმდინარეობს სრულ ჭაჭაზე (მარცვლის კანი, კლერტი, ნიპნა), დაახლოებით ორ კვირაში, ბუნებრივ საფუარზე, ქვევრში დადუღებული ღვინი შეივსება იმავე შინაარსის ღვინით (ჭაჭიანად), ჰერმეტულად იხურება, თიხით შემოიგოზება და ღვინი ვარგდება ჭაჭაზე ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში. შემდეგ ჭაჭაზე დანმენდილი ღვინი არის კრისტალური გამჭვირვალობის, სტაბილური, არ საჭიროებს დამუშავებას. ღვინი ინარჩუნებს ყურძნის მაგარი ნაწილებიდან ღვინოში გადმოსულ არმამარმოქმნილი და ფენოლური ნაერთების მწყობრ თაიგულს. გამოირჩევა სინაზით, სრული სხეულით, ხავერდოვნებით და განსაკუთრებული არმატით.

ქვევრის კახური ღვინი მაღალპრესტიული სასმელი იყო არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ, რუსეთის იმპერიაში. მართალია, კახური ღვინი ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში XIX საუკუნეში არ გადიოდა, მაგრამ მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ საქართველოში ჩამოსული ევროპელები. 1859 წელს საქართველოში სტუმრად მყოფი ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (მამა), რომელიც ღვინის მოყვარული და შემფასებელი იყო, აღნიშვნადა: ღმერთმა ქართველებს მისცა საუცხოო კახური ღვინო, რომელიც არ ათრობს, უფრო სწორად თავში არ უვარდება მსმელს....

ცნობილმა იტალიელმა ენოლოგმა, დოქტორმა დონატო ლანატიმ 2008 წელს აღავერდის მონასტრის მარანში, ქვევრის გახსნის შემდეგ, კახური ღვინო დააგემოვნა და თქვა: ჩვენი ცოდნავერ სწვდება ამდიდ საიდუმლოს, ეს მხოლოდ ზეენოლოგიის სფეროს განეკუთვნებაო.

2015 წელს ცნობილმა საერთაშორისო ექსპერტმა, საფრანგეთის გრანკუს ასოციაციის პრეზიდენტმა, ოლივე პუმბრესტმა ალავერდის მონასტრის მარანში,

ქვევრის კახური ღვინოების დაგემოვნების შემდეგ, ასეთი სიტყვები წარმოთქვა: ისეთი შეგრძება მაქვს, თოთქოს წარსულში ვმოგზაურობ, თითქოს ძალმიძს, ერთ ჭიქაში მოვაქციო ცა და დედამიწა. არაჩვეულებრივი ღვინო ენერგიით გავსებს. მოგიწოდებთ, არ შეწყვიტოთ თქვენი ტრადიციით ღვინის დაყენება. წლებმა გვიჩვენა, რომ ამ მეთოდით ფანტასტიკური ღვინო მხადდება, ეს ღვინოები მსოფლიოს აუცილებლად უნდა გააცნოთ...

ჩნდება კითხვა, – რა არის ის მასაზრდოებელი წყარო, რომელიც ქმნის ადამიანის კვებით, დიეტურ და სამკურნალო თვისებების მქონე სასწაულ სითხეს – ქვევრის კახურ ღვინოს; რა ზეგავლენას ახდენს ქვევრი ამ უნიკალური პროდუქტის ჩამოყალიბებაზე?

ამ შემთხვევაში პირველსაწყისებად უნდა მოიაზრებოდეს ჭაჭა – ყურძნის მაგარი ნაწილები და თავად ქვევრი. ქართველები ჭაჭას **დედოს** უნდოდებდნენ, – რა ფენომენია **დედოდ** წოდებული ჭაჭა?

ვფიქრობთ, ღრმა სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს ყურძნის მაგარი ნაწილების – ჭაჭის **დედოდ** მოხსენიება.

რატომ შეარქვა ქართველმა კაცმა დედის სახელი ყურძნის მაგარ ნაწილებს? – დედა არა მარტო შობს თავის პირმშოს, არამედ ძუძუს აწოვებს, ასწავლის სიარულს, ადამიანად აყალიბებს. როგორც ჩვენში ამბობენ, ფეხზე აყენებს, გადასცემს ყოველივე საუკეთესოს, რაც კი აპადია. ამიტომ ამბობს ქართველი – ღვინო დავაყენეო. გამოთქმა ღვენის დაყენება – ძელი წარმოშობისაა. ჩვენ პლანეტას ქართულად დედამიწა ჰქია. ქართულ ენაში დედა ყოველივეს საწყისი და ფუძეა – **დედა**

-ენა, დედა-ბოძი, დედა-ბუნება, დედა-მიწა, დედა-ქალაქი და ა.შ. მიწა ქართველისთვის დედაა, ჩვენ ხომ მიწისგან ვართ მოზელილი და ღმერთისგან სულშთაბერილი. ქვევრიც ხომ მიწის ანუ დედის პირმშოა. მიწისგან მოზელილი და ღრმად შთაფლული დედის – მიწის წიაღში, სადაც დედო წარმოშობს და აყალიბებს კახურ ღვინოს.

ქვევრი აგებულია თიხისგან (მიწისგან), რომელიც მდიდარია ორგანული და არაორგანული ნაერთებით. ღვინისთვის თიხის ქვევრი ბუნებრივი არეა, რომელიც მდიდარია მინერალური ნივთიერებებით, იმ საკვებით, ვაზი მიწის წიაღიდან რომ კვებავდა და ამნიფებდა ნაყოფს – ყურძნის მტევანს. დაჭყულეტილი ყურძნი უბრუნდება იმ დედაგარემოს, საიდანაც წარმოიშვა, ანუ ბუნებრივ საწყისს, ახალ თვისობრიობაში გადასულს, აქვს განვითარებისა და სრულყოფის ბუნებრივი პირობები.

ქვევრის გახსნის ჟამი არის პირველი გასაღები, იმ დიდი საიდუმლოების შეცნობის, ქვევრის წიაღში უფლის განგებულობით რომ არის ჩადებული. ქვევრის გახსნა შთამბეჭდავი, მოლოდინით სავსე, დაუვიწყარი ეტაპია. ამ სიდიადეს სწირედ მაშინ შევიგრძნობთ, როცა ჩავხედავთ ქვევრის პირზე მომდგარ კამპამა ღვინოს, მდუმარებაში მყოფ, დედის მეკრდზე მეფური ძილით მძინარე, მის უდიდებულესობას – ქვევრის ღვინოს. ჭაშნიკის დაგემოვნების დროს, თანდათან იღვიძებს ღვთიური სითხე და გვაფრქვევს ნელსურნელებას. ენას სიამოვნებით ესალბუნება და გულს წარმოუდგენლი სიხარულით ალავსებს...

თეიმურაზ ლლონტი, ზურაბ ლლონტი

... იგი ნაყლო ჩვენის ლვანისა, რომელსაც ჩვენებუნის ლვანის წენაც ყოვლიან, სწორედ იგი ნაყლო, ლორსებას ჩვენის ლვანისა, და თუ ჩვენი ლვანი იდესმე გზას გაიხსნის საქვეუნი ბაზრისას, სწორედ ლორსების წყვირისას...

ნე. ილია მართიშვილი ქავჭავაძე



დეკემბერის უღელტესობი



ჯუმბერ ჯიმშვილიანი

რამდენიმე დღეა, ომარიშარაში ვართ.

საოცარია, როგორ ახერხებენ ჩვენი კეთილი მასპინძლები დღეში ორჯერ-სამჯერ ამდენი სტუმრის, ასე ლა-მაზად გამასპინძლებას...

ყოველ დღით, საუზმემდე, ეზოში გამოვდივარ, დიდი ხის ჩრდილქვეშ, უზარმაზარ ქვა-მაგიდასთან ვჯ-დები და წინა დღით ჩანერილ მასალას ვაწესრიგებ.

სოხუმში დაბრუნება თილისმასავით მუდამ გვერდით მიდევს.

საოცარი წიგნია. სამწუხაროდ, ხშირად მას აღიქვა-მენ, როგორც მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას, რო-მელშიც მძაფრადა აღბეჭდილი ის კოშმარული დღები, მშობლიური კუთხიდან გამოძევებულმა ადგილობრივებ-მა რომ გადაიტანა საკენ-ჭუბერის უღელტეხილზე...

ჩემთვის ეს წიგნი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ მხატვრულ-დოკუმენტური პროზა.

ჩემთვის ესაა წიგნი - ზარის დარისხება.

ესაა წიგნი, რომელმაც თითოეული ჩვენგანი საკუ-თარ სულში უნდა ჩაახედოს. სარკე, რომელმაც თითო-ეულს საკუთარი თავი უნდა დაანახოს; წიგნი, რომელ-მაც თვალნათლივ დაგვარწმუნა, რა ამაო ამქვეყნიური ფაციფუცი ფულზე, ოქროზე, ავეჯზე, ბოძეზე, როცა სულიერებისგან დაცლილი ხარ...

...საუკუნის ბოლოს მოგვეცა შანსი - მსოფლიოს-თვის დაგვემტკიცებინა, რომ გაჭირვების უამს, ყველა ერთად ვდგებით, და ამ დროს ჩვენი მომრევი არავინაა ქვეყანაზე...

...სამწუხაროდ, წავიფორხილეთ, ეს შანსი კარგად ვერ გამოვიყენეთ...

ცხოვრების უღელტეხილი ყველამ ვერ გადალახა ლირსეულად... გამოგვერია უკეთურნი, ჩვენი სისხლი და ხორცი, უინც იმ უმძიმეს უამს ძარცვავდა დევნილებს, ართმევდა ფულს, ოქროულობას, უკანასკნელ ნივთებს...

ესაა წიგნი - საბრალდებო დასკვნა მავანთათვის... ასევე კორუმპირებულ სამხედრო ჩინოსანთათვის, რო-

დევნილთა უღელტეხილი ყველაზე მაღალი უღელტეხილია დუნიაზე, მამულის უწმინდესი ჰაერით გაუღინთილი, ყველა ამქვეყნიურ ნირილმანზე და დავიდარაბაზე, ფულსა და ლალატზე, სიძულვილსა და სიბრიყვეზე, სიხარულესა და სულმოკლეობაზე ზემდგომი. უღელტეხილი - გოლგოთა სრულიად საქართველოს ცოდვებს მიეზიდება...

გურამ ოდიშარია
სოხუმში დაბრუნება

მელთა უთაობამ, ამდენი უბედურება მოუტანა ათეულა-თასობით ადამიანს, დღეს კი ისე გასუსულან, თითქოს ეს მათ არ ეხება, თითქოს არაფერი მომხდარა...

წიგნიდან ადგილებს ვნიშნავ, რომლებსაც წერილე-ბის წერის დროს გამოვიყენებ.

- აბა, მოემზადეთ, დისლოკაციის ადგილი იცვლება! საკენში გადავდივართ. იქ ღამეს ვათევთ და ხეალ ჭუბერმი ვპრუნდებით! - თითქოს სამხედრო ბრძანებას იძლევა ლადო აფხაძე.

- რატომ ასე სწრაფად? - ვეკითხები გია ჯაჭვლიანს.

- ადგილზე გაიგებთ! - მრავალმნიშვნელოვნად იღი-მება მეგაზღვრეთა კომენდანტი.

ვემშვიდობებით ძვირფას მასპინძლებს, რომლებმაც თავიანთა დისკომფორის, შენუხების ფასად, ასე ღამა-ზად გვიმასპინძლეს ამდენი დღე. ბარგს ურალზე ვათა-ვსებთ და საკენში მივდივართ.

გზისპირები მანქანებით, უფრო სწორად, მანქანების ჩონჩხითაა მოფენილი. ერთ დროს ქათქათა, პატრონე-ბის ნაფერებ-ნალოლიავები, ულამაზესი მანქანები და-ჟანგული, უსარგებლო რკინის ჯართად ქცეულა. ზო-გიერთ მანქანას ჯერაც შერჩენია სახელმწიფო ნომერი.

ჭუბერიდან რომ მოვდიოდით, პირველი მანქანა და-ვინაზეთ... თვლა დავიწყე... ას ოცს რომ გავცდი, ანგა-რიში ამერია. ან რა აზრი ჰქონდა...

...ამ გზის აღნერა ჩემს ძალებს აღემატება... ამიტომ გაზითის მკითხველებს ვთავაზობ ფრაგმენტებს გურამ ოდიშარიას წიგნიდან - **დევნილთა უღელტეხილი.**

...27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. კოდორის ხიდი ვერა და ვერ გაარღვეის სხვადასხვა ნომრისა და მრისხანე და-სახელების კორპუსებმა და ბატალიონებმა. ხალხი იძუ-



გურამ ოდიშარია



ଶ୍ରୀରୂପ

ლებულია, სხნის ერთადერთ – სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგეს. დევნილები ჩქარობენ, ვინ მანქანით, ვინ ფეხით... ცხენებითაც მიემართებიან მთებისკენ.

...ჩამნერივებული ჯარისკაცები არეული ნაბიჯით
მიდიან მერხეულისკენ.

...საჯოდავი სანახავია დამარცხებული ჯარი.

მოდიან თავჩაქინდრული, სიამაყეშელაბული მეომრები, თვალს ვერავის უსწორებენ, ზოგიერთი ნაცნობებს ქმალება, მზერას არიდებს.

...մերկեցն ճողար նատացես մոզգարո տալո. չարուսպացու ხայություն դռնմածու, գրեթի մօդու. զենքովի՛ ՛նա, - ասե մոտերես - ունջույրո մշյուրացեցուա մոազցեց- սո. մոշլեց, ելու գալութիպամտ հալցեծն. ար զուու, մար- տալու յ տոյ արա, մագրամ ուս զո ցեածու, րոմ նատացես մժցուոնեւս դրուսազ ար սենյալոնձնեն դալծագորնեցի....

...մոյւլոնգեղաց ջի՞ածի մօսկվոին մըլոնքեա. յէյօդան
սալշճացոց գամոցու օրու սամեցրոցորմիանու աხալցա-
թրճա. - ჩամոցու մանյանօդան! - պատրիու յըրու դա ազգո-
մակս մօմօնինեած, - ույ յըրու կըպահ մանճը գովուզ, შըշճու-
ցացիշրջեց! Քչեց այ սնճա զօժմուռոտ դա Շեն զո... Շեն զո
օարաւո մօցայիշ, եօմ... եօմ!

ამას ამბობს და თან მუშტრის თვალით ათვალიერებს ჩემს მანქანას.

მოგვიანებით იგი საკეში ვნახე, სადაც ერთდროულად რამდენიმე ახალი მანქანის მფლობელს ევაჭრებოდა - ულელტეხილზე ურალით გადაგიყვანთ, ოღონძა მანქანები მე დამიტოვეთო...

...აუარის შუაგულში გვაჩერებენ. პოსტია. ჩხრეკენ
მანქანებს - ვინმეს იარღი ხომ არ მიაქვს.

...ლამილ, აზარაში, გუჯვაჯიანების უზოში ვჩერდებით.

გუჯეჯიანების მეზობელს ინდაურები და ქათმები დაუკლავს, გრძელ სადარბაზოში ვეებერთელა სუფრა გაუშლია და ყველას ეპატიუება, ხალხი რიგრიგობით ვახშმობს...

...მეორე დღეს საკენში ვართ – აფხაზეთის სვანეთის ბოლო დასახლებულ პუნქტში. მაჭარიდან საკენამდე ზუსტად ასი კილომეტრი ყოფილა...

აქედან იწყება ულელტეხილი, რომლის სახელი რამ-
დენსაც არ ვკითხე, ვერავინ მითხრა. ულელტეხილის გა-
დალახვა მხოლოდ სამხიდიან სამხედრო ურალს, ბბპ-ს
და ტრაქტორობ შეუძლია, ნივასაც.

କ୍ଷେତ୍ରାମଦ୍ୟ 50 କ୍ଷିଳ୍ପମ୍ରତିରାମଦ୍ୟା.

საკენტი ათიათასობით ადამიანია თავშეყრილი, ათა-სობით მანქანა, დევნილები ბჟობენ, თუ რა მოიმოქმე-დონ. ზოგი ქონებას ნაცნობ ადგილობრივებს უტოვებს, უმრავლესობა – უცნობებს და ფეხით განაგრძობს გზას. არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთ მანქანას ხევში გადაჩეხავენ – ამიერიდან ჩემი აღარ ხარ და ნურც სხ-ვისი გახდებიო...

...სვანები გვაფრთხილებენ, – მაღლე ჩამოთოვს და 10-15 ოქტომბრისათვის ულელტეხილი ჩაიკეტება....

აი, იწყება პირველი აღმართი.

...ულელტეხილი მანქანებითაა გადაჭედილი. ზილები და მაზები, ურალები და გაზიერები, ნივები და ვილისები, კიდევ ვინ მოთვლის, ტექნიკის რამდენი ლირსეული ნარმომადგენელი უიმედოდ ელოდება თავის რიგს. გამეტებით წვიმს. გზა ჩახერგილია. ამ მონითალო, პლასტილინივით ტალახს, მხოლოდ ადამიანის ფეხები ჯაბნის.

...მთაში ზედმეტი ფორიაქი არ შეიძლება, – გვაფრთხილებდა ნინა დღეს ნაცნობი სოხუმელი მონადირე და მეც მორჩილად მივყვები ადამიანთა აღმა მიმავალ გულმოევითინე მდინარეს.

...ორიოდე კილომეტრის შემდეგ, ქვემოდან ქალის კივილი ისმის, დევნილებს ტანში აურიალებთ. ოცდაათიოდე წლის ინფარქტგადატანილი კაცისთვის გულს უდალატია. იქვე დაუკრძალავთ უბედური.

— გუშინ ქალმა მკვდარი ბავშვი შობა, — მეუბნება ვიღაც, — ქალიც მოკვდა. კიდევ ერთი მოხუცი ქალი დამარხეს ტყეში, აქვე ახლოს...

...ტაბარივითაა მთა, – ვისაც ცოტა მაინც სწამს ლერთის და ცოტა მაინც უყვარს ადამიანი, აქ განინ-მინდება, და სწორედ ეს რწმენა და სიყვარული უადვი-ლებს გზას...

– მთაში შენს სხეულს ხშირად უნდა მიაყურადო. მთას ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს, ძალას წაგარომევს. არც ბევრი უნდა ჭამო, გამძლარი არც ცხენი ვარგა და არც კაცი – მეუბნება საანდომიანი სახის, ჭალარა კაცი....

...მოდიან და მოდიან უსასარულოდ, მოდიან ბავშვები და მოხუცები, ქალები და კაცები, მოდიან პროფესორები და მინისტრები, უეშმაკო ხელობის ხალხი – გლეხები და მეთევზები, მოდიან მძღოლები და ქურდები, სხვა-დასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ საზოგადოების წარმომადგენლები, პატიოსნები თუ უნამუსო ადამიანები, კეთილები და ბოროტები...

զեցազ նամდալ մեղմրեծն, զեցազ մարագորոճնաս, ոմիս Տուխլուտ դալալուլ, Տյուլգապուզուլ կորշմէորյ- ծուլ Տամեցքրո ჩինովնիցեծսաց. Ցըրդոցվերդ մօածոչ- եց միջևսմթնորս գամպուզելու և սյազ գաբրոլեգիարյ- ծուլո, Յոնրոշմշուծունան մօլուոներո...

...մողօւան... մաշրամ մատ առ մոյսձլցու են առ Ա մուսէ,
առ Ա մեջպահու կը գուլո, առ Ա ես գու Ձկաց զինթէ, առ Ա
արացու Ռնմենա Շըրինինատ...

ულილტეხილი თანდათან მკაცრდება. ჩემოდნები,





ქუპერი

ყუთები და ჩანთები ტყვიასავით მძიმდება – ათი კილო ას კილოდ ქცეულა უკვე. მაღლა და მაღლა უფრო ჭირს.

ხალხი გზის პირას ან ხევში ყრის ტანსაცმელს, დანაჩანგალს, ძვირფას თევზებს და სურებს, ოჯახურ ალბომებს, ანტიკურებს... იშორებს ქონების უკანასკნელ ნაწილსაც. ერთ ადგილას ვერცხლით განყობილ, წარნერებიან ყანნს ვაწყდება. ვინ იცის, რამდენი სადლეგრძელო შესმულა ამ სასმისით, რამდენი ქორწილისა და ძეობის მოწმე ყოფილა იგი – მთლობელთან ერთად დევნილი ყანნი...

გრძელდება დიადი გზა, ვუახლოვდები მწყემსთა ბანაკს.

მწყემსთა ბანაკი სამ მომცრო, თუნუქთა და ტოლით გადახურულ ფიცრულს წარმოადგენს. შენობები ხალხითაა გაჭედილი. ათასობით ადამიანი ირევა გარშემო...

ინყება თოვა. გაჩერება შეუძლებელია. ინყება სიკვდილ-სიცოცხლის გზა – უღელტეხილის ალპური ზონა!..

წინ კვლავ აღმართებია, კედელივით აღმართები.

მაღე, ლოდზე მუცლით განოლილ, გაყინულ ქალს ვხვდებით, შემდეგ ქურთუკზე სამხედრო ქამარშემორტყმული, წვერებიანი კაცის ცხედარს...

...არავის გაუფრთხილებია ეს ხალხი, არავის მიუცია რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყვნენ უღელტეხილზე. მთელი გზის განმავლობაში, არც ექიმი შეგვხედრია სადმე და არც მაშვრალი, არც პური დაურიგებია ვინმეს, ხოლო ის – დიდი და მცირე რანგის თავკაცები, რომლებსაც ხალხის ხსნა ევალებოდათ, პირველები შველოდნენ თავს...

...ყველას, ვისაც ძვირფასი ადამიანი გაეყინა საკენჭუბერის გზაზე, მინდა ვუთხრა – ნეტარი სიკვდილით გარდაიცვალნენ ისინი. დალუპულებს, რომლებსაც გზადაგზა ვხვდებოდი, მშვიდი სახები ჰქონდათ და ტანჯვის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდათ...

...მაღე ჰალუცინაციები გვეწყება – თოვლიდან ამოშვერილი უზარმაზარი ლოდები, მომთაბარე ტომთა ქოხები გვგონია.

– რა ხალხი ცხოვრობს აქ? – ვეკითხები ჩემს თანაკლასელს, ჯემალ დარცმელიას.

– არ მიიხედოთ უკან, ვიღაცეები გვაკვირდებიან, მძარცველებია ალბათ, – მეუბნება და ვგრძნობ, როგორ უჭერს იგი ხელს უბეში გადამაღულ რევოლვერს.

ვიღაცეები ქვები აღმოჩნდა, გადამთიელი ქოხები – ლოდები.

ამ დროს კი თურმე ჩვენგან კარგა დაბლა – მოსახვევში. რეალურად არსებული ყაჩალები, რეალურად არსებულ ლოდებსა და კლდეებთან ჩასაფრებულები, ძარცვავდნენ დევნილებს, ჯარისკაცებს ართმევდნენ იარაღს, სხვებს – ქურთუკებს, ფულს, ოქროულობას, უკანასკნელ ნივთებს...

...შუალამისას ვალწევთ ტყემდე, უამრავ კოცონს ერთ ჩვენსას ვუმატებთ; ზანტად იწვის სველი და ნედლი შემა...

...კოცონებისგან მოშორებით, ჭრელ ქსოვილში გახვეული რამდენიმე ადამიანი წევს, პირდაპირ ყინვისაგან გაქვავებულ მიწაზე.


– რად არ მოდიან ესენი კოცონთან, არ სცივათ? – ენის ბორძიყით ვეკითხები ვიღაცას.

– ესენი მკვიდრები არიან, – მპასუხობს დინჯი და მშვიდი ხმა...

...მეორე დილით, ექვს საათზე ვდგებით და გზას ვაგრძელებთ. ფერადი და მზიანი, ცივი და სასტიკი დილაა. გზადაგზა გვხვდება მიცვალებულები, გვაცილებენ ისინი მშობლიური, ყინულიანი მზერით, წვანან ისინი მშვიდად, ხელში ქალალდის ნაგლეჯი უპყრიათ, ქალალდზე მათი სახელი და გვარი წერია. ყველაფერი სწორედ ისეა, ვით სამშობიარო სახლში, სადაც ჩვილებს მაჯაზე ვინაობის აღმნიშვნელ ნიშანს უმაგრებენ. ოლონდ ესაა, რომ ჩვენს სამშობიარო სახლში ახლობლები არიან, უღელტეხილზე კი – ახალგარდაცვლილები. დამთავრდა დევნა, მაგრამ... ისინი მაინც განაგრძობენ თავიანთ სვლას – თავიანთ ლტოლვას უკეთესი საქართველოსკენ, სადაც ყველაფერი რიგზეა, სადაც ადამიანები პატრონობენ ერთმანეთს, სადაც კაცი ქვეყნის ერთგულია და ქვეყანა – კაცის, და არავინ კლას ერთმანეთს არც იარაღით და არც დევნით, არც სიტყვით და არც სიძულებილით...

...სალამოუამს ჭუბერში ვართ. ვწვებით უზარმაზარ, გადაჭრილ მორებზე და ვგრძნობთ, როგორ ვიძინებთ, უკიდუგანო სიცარიელის ოკეანეში...

ჯუმბერ ჯიშკარიანი
მზაკვრობა დალის ხეობაში



Гурам Одишария


Возвращение в Сухуми

...სიცყვა შრაღიშიული მედიშინის ვაჩსკვაზე...

...მაგრამ ბოლოს ლხინსა მისცემს,
ვინცა პირველ ჭირსა გაძლებს...
შოთა რუსთაველი

ქართული ტრადიციული მედიცინა შარლ პეროს ზღაპრული ნაბიჯებით მწვერვალებს იპყრობს... თუ გავიხსენებთ, სულ ცოტა ოცდათი წლის წინანდელ ფაქტებს, საბჭოურ-კომუნისტური წყობის დროს, ტრადიციული მედიცინის ენთუზიასტები განიცდიდნენ ინკვიზიციურ დევნას, შეურაცხყოფას, დამცირებას, მხოლოდ იმიტომ, რომ წინაპართა გამოცდილებითა და მეთოდით, ხალხს მკურნალობდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ექიმებაშებს და შარლატანებს ეძახდნენ. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალი... რადგან ჩვენმა წინაპრებმა ათას გრიგალში, ქარტეხილში გამოიარეს და პერგამენტის ქაღალდში დაუნამავი გამოატარეს ის სამკურნალო გამოცდილება, რომელიც გაჭირვების დროს თითქოს ღმერთმა გვიკარნახა თვისტომის გადასარჩენად. ამ დალოცვილ მიწაზე, ჩვენს ისტორიულ სამოსახლოზე, ტროპიკული მცენარეების გარდა, ყველაფერი ხარობს... ამას ემატება სამხრეთული მზის ზომიერი მცხუნვარება, ქართველი კაცის მტკიცე ხასიათი, შრომისმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული! – კარგი მიწა გაიმეტა ჩვენთვის უფალმა. ამიტომ ოდითგანვე მტრებიც უთვალავი გვყავდა, – წინაპრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ვინ დაგვაცალა, გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრებისათ, – თქვა ქართველმა პოეტმა.

სიცოცხლის გადარჩენა ზოგჯერ ბეწვზე ეკიდა, ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული. ამ დროს მკურნალმა კაცმა ჭრილობაზე წასასმელი სალბუნი მოამზადა, ბრძოლებში დაჭრილ მეომრებს მოვლა-პატრონობა ხომ უნდოდა?!



ძველი ქართული ტოპონიმებია, – ნასოფლარი, ნაქალაქევი თუ ნაქალაქარი, ნადარბაზევი თუ ნატახტარი. ნერევას მუდამ შენება მოსდევდა: ახალშენი, ახალსოფელი, ახალ-ქალაქი და ა.შ. ვინ მოსთვლის რამდენი მებრძოლი, ცხენიდან ჩამოვარდნილი შველას ითხოვდა, ღვთის მაღლით ცოცხალი მაინც გადარჩენილა...

ერთი ათასწლეული მაინც არის გასული მას შემდეგ, როცა სამოღვაწეო სარბიელზე თურმანიდები გამოჩნდნენ თავიანთი უნიკალური მაღამოთი. ქართველი კაცი მუდამ სიცოცხლის დარაჯად იდგა. კაცობრიობისთვის ცნობილია ჩვენი სამკურნალო ხელოვნება და კულტურა, 1792 წელს ქალაქ ჰალეში გერმანელმა პროფესორმა კურტ შპრენგელმა, პირველმა ქართველოლოგმა გამოსცა მსოფლიო მედიცინის ისტორიის ხუთომეული, პირველი ტომის პირველსავე ქვესათაურში საუბარია უძველესი კოლხური მედიცინის შესახებ. დიახ, კოლხეთის მეფე აიეტი და მისი ოჯახი 3500 წლის წინ იბრძოდა ადამის მოდგმის გადასარჩენად. ეს რეალობა იყო, რადგან გამორიცხულია მემატიანეს მესოპოტამურ-ბაბილონურ, ეგვიპტურ, ბერძნულ-რომაული ცივილიზაციებისთვის კოლხური მედიცინის ისტორია უვერტიურის სახით წაემძღვარა...

კოლხი მედე აიეტილა ტრადიციულ მეურნალ ბიჭიკო ასკურავდე...

ჩვენი მიზანია, ვისაუბროთ ტრადიციული მედიცინის ორ კაშკაშა ვარსკვლავზე, რომლებმაც არა მარტო ქართველი პაციენტების მაღლობა და სიყვარული დაიმსახურეს, არამედ საერთაშორისო აღარიება მოიპოვეს. ევროპა ფართოდ უღებს კარს უძველეს კოლხურ ტრადიციულ მედიცინას. 2007 წელს გერმანიაში გამოვიდა ორენოვანი უკრნალი ალტერნატივური მედიცინა, სადაც დიდი ყურადღება დაეთმო უძველეს ქართულ სამედიცინო კულტურას. შეიძლება შორს არ იყოს ის დრო, როცა მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების მიერ დადებითი დასკვნის შედეგად,

თბილისი, ლესელიძის ქ. №25/

ტელ.: 2999694, 2987995,

ბიჭიკო ასკურავა: 577411911

დავით ასკურავა: 593550030

www.facebook.com/askuravahealer

კოლხური მედეას სურათი (მხატვარი ელგუჯა ბერძნიშვილი) კაცობრიობის ტრადიციული მედიცინის ემბლემად გამოცხადდეს. ამ უურნალში კიდევ ორი სტატიაა გამოქვეყნებული ქართული ტრადიციული მედიცინის წარმომადგენლებზე – **ბიჭიკო ასკურავა და როინ ნაჭყვპია...**

თბილისში მოღვაწეობს ბიჭიკო ასკურავა, რომელიც ფლობს უნიკალურ საგვარეულო საფეხნებს, ბიოლოგიურ სითხეში დასველებულ ქსოვილს, რომელსაც აფენს მოტეხილ კიდურზე, ახვევს არტაშანების, იმავე ნუთიდან იწყება ანთებითი პროცესების ჩაქრობა, ტკივილების დაყუჩჩება... პაციენტი აღარ საჭიროებს ტკივილგამაყუჩებელ აბებს. საფენი უნიკალურია და უებარი ტექნიკური ტრაგების დროს, ტრადიციულ მურნალს აქვს ლიცენზია და პატენტი. იგი სწრაფად კურნავს განსაცდელში ჩავარდნილ პაციენტებს ყოველდღიურად, ვინ მოსთვლის რამდენ უსახსრო ადამიანი გადაარჩინა!.. ბიჭიკო ასკურავა მსოფლიოში აღიარებული ვარსკევლავია. 2000 წელს ამერიკაში შეიქმნა ჰუმანური საერთაშორისო კონვენცია, რომელიც გლობალიზაციის რთულ დროს, ცდილობს თავისი წელილი შეიტანოს მშვიდობის, განათლების, ჯანმრთელობის, მიმტევებლობისა და ერთა შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებაში. დაანესეს არასამთავრობო ჯილდო, ოქროს მედალი, რომელიც ტკიფრის გარეშე მზადდება, შუაში ჩასმულია ბრილიანტის თვალი. შარშან ჰუმანური ღირსების მედალი მსოფლიოში მხოლოდ ხუთ ადამიანზე გასცეს, ხუთეულში ქართული ტრადიციული მედიცინის მურნალი ბიჭიკო ასკურავა მოხვდა. ამერიკაში ელოდებიან მის ჩასვლას და ღირსების ბრილიანტის თვლით დამშვენებული საერთაშორისო ოქროს მედლის გადაცემას. საერთაშორისო მზიშვნელობის ჯილდოს ხელს აწერს ჰუმანური კონვენციის გენერალური რეზიდენტი **ჯ. ვეანისი.**

თვალნათელია, რომ ქართული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული მედიცინა თანდათან იხვეჭს საერთაშორისო აღიარებას და ავტორიტეტს.

კიბოთეზური ვერსია ბიჭიკო ასკურავას გვარის ფუძეზე

პირად საუბარში ბიჭიკო ასკურავა ასეთ მოსაზრებას წარმოთქვას, – ასკურავების საგვარეულო წარმომადგენლები ფიზიკურად ძლიერები, **ასი კუროს მჯობნი** თუ არა თანატოლები მაინც იყვნენ. ამიტომ ვართ ჩვენ გვარად ასკურავებიო. ჩვენ სხვა მოსაზრება გვაქვს, რომელიც უფრო ახლოსაა სიმართლესთან...

250 წელია და შეიძლება უფრო მეტი ასკურავები განსაცდელში ჩავარდნილ ავადმყოფებს ეხმარებიან და შველიან...

ტაოს მხარეს სახლობდნენ ბრძნენთმთავარი, მურნალ ზაზა ფანასკერტელის წინაპრები, რომლებიც არა მარტო სახალხო მურნალები, არამედ სამშობლოსთვის თავდადებული მებრძოლები იყვნენ.

ქართლის ცხოვრებაში დაცულია წერილობითი წყარო:

და იყო სამხრეთ საქართველოში კაცი ბედითა არა უბედოდ და წოდებითა არა უაზნო, მარტომ იქმოდა საქმესა საგმორონს, მარტომ აღიღო ციხე ბანა ფანასკერტისა და შეიქმნა ფანასკერტელების გვარის (სახელის ს.ს.) ფუძემდებელი, ზაქარია ერქვა მას სახელად, ასპანიძე იყო გვარად...

ამ ძირძველი გვარის ფუძის გაშივრის დროს, შეიძლება ასე იფიქროს კაცმა: სპა – ძველი ქართულით ჯარს ნიშნავს, სპასალარი ჯარის მეთაურს, ხოლო სპის მეთაურთა მეთაური დიდი რაოდენობით ჯარის მეთაურია (სულ ბრძოლაში და ორომტრიალში არ ვიყავით!?) თანამედროვე მარშლის ტოლფასი ქართველი სამხედრო პირის თანამდებობა მთავარსარდალი უნდა იყოს. სარდალი სპარსული წარმომავლობის სიტყვაა, არ არის გამორიცხული ქართლში, კერძოდ მზოგრეთში გადამოსახლებული ზაზა ფანასკერტელის წინაპრები მემკვიდრეობით სამხრეთ საქართველოში სპასპეტებისა და ჯარისსპათა მეთაურები ყოფილიყვნენ, ისე, როგორც ერისთავი ძველ საქართველოში სახელმწიფო თანამდებობა იყო და დროთა განმავლობაში გვარად გადაკეთდა.

1538 წლიდან ასპანიძე-ფანასკერტელების გვარს (კი-ციმვილის გვარი დაემატა. ბიჭიკო ასკურავას წინაპრები 250 წელზე მეტია ტრადიციული მედიცინის წარმომადგენლები გახლავთ. გვარის ფუძიდან გამომდინარე, გვარში ასკურავა ფუძედ ზის კურა, რომელიც ლათინური სიტყვაა და ქართულად **მკურნალს** ნიშნავს, – ამას წყალი არ გაუვა...)

ასკურავების საგვარეულოს წარმომადგენლები მაღლიანი ხელით მკურნალობდნენ თავიანთ პაციენტებს საიდუმლო საგვარეულო უნივერსალური ბიოლოგიური სითხით, რომლითაც ქსოვილია დასველებული, და ეს საფენი ექიმის დამზადებულია, და თავისი სამკურნალო თვისებებით ყველას ჯაბინის. ამიტომ ასკურავების საგვარეულო საქმიანობიდან გამომდინარე მათ წინაპრებს **ასკურავები** ანუ ას მკურნალზე უმჯობესნი, უკეთესი, ასი ექიმის თანატოლნი შეარქეს, არავინ იცის, სანამ ეს გვარი გამოჩენდებოდა სამკურნალო ასპარეზზე, მანამდე რა გვარისანი იყვნენ ასკურავები?! ახალი გვარის წარმოშობა, თუნდაც ფსევდონიმები არ ახალია, ძველი ტრადიცია ყოფილა!.. გვარების დაარსებას ლიმიტი არასდროს სჭირდებოდა. ამიტომ ახალი გვარების წარმოშობა არც თუ იმვიათად ხდებოდა.


ჩვენი, სალუქვაძეების გვარის მაგალითზე მოგახსენებთ, XX საუკუნიდან სალუქვაძეები ვყოფილვართ, XVII საუკუნემდე ღვთის კაცის, ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები სალიქვაძეები, თურმე **სალუქვესავით** მაგარი, გაუტეხავი იყვნენ. XX საუკუნიდან გვარის ფუძეში გამოჩენდა **სალუქე** – დიდებული, კოხტა, ამიტომაც სალიქვაძეები დღეს სალუქვაძეები ვართ. ლიხაურის სამუალო სკოლის მერხზე რუსული ენის მასნავლებელი მიხაკო სურგულაძე ასე მომმართავდა: სოკრატ სალიქვაძე მოყევი გაკვეთილი იურკა მალენკიი.

საბოლოოდ დავსძენდი, ასეა ჩვენი ბიჭიკო ასკურავას გვარი, **ას მკურნალს სჯობს**, და ამიტომაა ხალხში დაფასებული.

მზეგრძელი და დღეგრძელი იყოს ასკურავების საგვარეულო, ჩვენი საყვარელი მეგობრის ბიჭიკო ასკურავას თავკაცობოთ.

**ძმური სიყვარულით,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი,
აკადემიკოსი სოკრატ სალუქვაძე**

ქრისტეანობის და კასტელი გურიაში



1634 წელს ქალაქ გორში, სიმონ გურიელის ყოფილი ცოლის, ლევან მეორე დადიანის დის, მარიამ დედოფლისა და როსტომ ხანის ქორნილის დროს, შემოქმედელმა ეპისკოპოსმა გაიცნო დონ პიეტრო ავიტაბილე. სთხოვა, – ჩემი ეკლესის სასიკეთოდ, მომცეთ რამდენიმე მღვდელი გურიაში წასაყავანად... იქ თქვენი მოვალეობა იქნება, დათისმასაზურება და ერთს მოვლა მის საცხონებლად. შეთანხმების თანახმად, გურიაში გამოეშურა სამი ყოვლად ღირსი და კეთილშობილი მოძღვარი – პატრი ანტონიო ჯარდანი, პატრი დონ ქრისტეფორე დე კასტელი და მორჩილი ძმა კლაუდიო. ანტონიო ჯარდანი კარგად ფლობდა ქართულ ენას. 1634 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსი, კლაუდიო კასტელი და ჯარდანი ოზურგეთში მივიდნენ, კათოლიკოსი ოზურგეთის სასახლიდან გამოეეგბა თეათინელებს. ჯარდანი წინ წარსდგა მთავრის წინაშე და მშვენიერი ქართულით აუწყა, – მთავარო, დიდად სახიერო, შემოქმედელის გორში მოსვლა, იმდენად სასარგებლო იყო წვენთვის, რომ უკეთესს ვერ ინატრებ. მან გაგვიხსნა გზა, ვეთაყვანოთ მთავარს, რომელსაც დიდად უყვარს თავისი ერი და სავსეა სარწმუნოებრივი სიყვარულით.... ალფროთოვანებული მოვდიოდით ამ სამთავროში, სადაც კათოლიკე სარწმუნოებისთვის მრავალი სიკეთება მოსალოდნელი.

მალაქია გურიელმა დაავალა შემოქმედელ ეპისკოპოსს, თეათინელებისთვის ეპოვა სახლი, ეკლესია და რაც იყო საჭირო... მალაქიამ შორს არ გაუშვა პატრიეპი, თავისი სახლის ახლოს დააბინავა და იქვე აუშენა ხის ეკლესია. მხატვრებმა ეკლესია მორთეს სხვადასხვა ნახატებით, მალაქიამ უფრო დაიახლოვა პატრიეპი, თავის ეზოში მისცა სახლი და ეკლესია, რომელის ნაშთმაც კი ვერ მოაღწია ჩვენამდე.

ქართული ენის ბრწყინვალე მცოდნე ჯარდანის მოღვაწეობა, მაღაქია გურიელის სასახლის კარზე, მარტო ლოცვა-კურთხევით და სასულიერო პირებთან რელიგიურ თემებზე პაქტორიბით როდი ამონურა. ანტონიო ჯარდანიმ ოზურგეთში ჩამოაყალიბა, კოლეჯის მსგავსი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო კერა იყო საქართველოში.

ანტონიო ჯარდანი კარგად ფლობდა ქართულ ენას, მას შეუდგენია ქართული გრამატიკა. მისიონერები აქებდნენ გურულების ნიჭიერებას და ადვილად ათვისების უნარს. მოინცომეს, რამდენიმე ყმანვილის იტალიაში სასწავლებლად გაგზავნა, მაგრამ მტრებს მოერიდნენ. იქნებ ხმა გაავრცელონ, პატრებს სურთ, თათრებს მიჰყიდონ. ამიტომ ყმანვილები ევროპაში არ გაუგზავნიათ.

ბერძენი მღვდლები შეშფოთებულნი იყვნენ ლათინ-თა პოპულარობით. სთხოვეს კათოლიკოსს, განედევნა ისინი ქვეყნიდან, მაგრამ მალაქია მათ ყურადღებას არ აქვთ გვდა. კათოლიკოსს მიუწინეს მუკრნალი ფერინ-



დონე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა. ფერინდონ-მა ჯარდანი მონაძლა, თუმცა სანამლავი ვერ მოერია, შემდეგ ცეცხლი წაუკიდა მისიონერების სახლს, პატრი კასტელმა და ძმა კლაუდიომ ფანჯრიდან გადახტომა მოასწრეს, ეკლესიაც გადაურჩა დაწვას. კათოლიკოსმა და შემოქმედელმა ანუგეშეს მისიონერები და ახალი სახლი აუქენეს.

ანტონიო ჯარდანის სიკვდილის შემდეგ, პატრი ქრისტეფორე კასტელი განაგრძობდა ნაყოფიერ მოღვაწეობას. 1634 წელს კასტელი აღმოსავლეთ საქართველოდან გადავიდა გურიაში. 1640-1646 წლებში სამეგრელოში იმყოფებოდა, შემდეგ ქუთაისში, 1649 წელს სამეგრელოში დაბრუნდა, საქართველოში ოცდაექვსი წელი დაჰყო. კასტელმა დაგვიტოვა ნაშრომები, ცნობები და ალბომი, სადაც საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოზე, კერძოდ კი გურიაზე. სამწუხაროდ, კასტელის ნახატებმა სრული სახით ვერ მოაღწია ჩვენამდე – რომიდან სამშობლოში, ქალაქ პალერმოში დაბრუნებისას, ზღვის დელვის დროს, ერთი ტომი წყალში გადამივარდა, სადაც საუკეთესო სურათები მქონდა დახატული, – აღნიშნავს კასტელი. მ. თამარაშვილის თქმით, ალბომებში დაცული სურათები არ გვხვდება, რამდენიმე სურათი ამოქრილია, დანარჩენი სავალალო მდგომარეობაში, ქალდი გაცრეცილი და დაზიანებული.

კასტელის სურათების და რელაციონის მთავარი ლირსებაა, რომ იგი შეიცავს ქართული სახელმწიფო-ბრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მრავალ ცნობას. კასტელი ახერხებდა თავისი აზრების კალმით გამოთქმას, მით უფრო, როცა შეუფარავად, ნატურიდან ხატავდა. მას თვალის ერთი გადავლებით, ყველა ფაქტის აღქმა შეეძლო...

დე კასტელს აღნერილი და დახატული აქვს არა მარტო ძველი გურიის სოფლები, მისი ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები, არამედ გურიის მთავართა, საეკლესიო პორტა, თუ დაბალი სოციალური ფენის საინტერესო პორტეტები.

კასტელმა შვიდი წელი გაატარა გურიაში. ამ დროის მანძილზე ხუთი მთავარი გამოიცვალა, – მამია და მისი შვილი სიმონი, მალაქია, ვახტანგი, ქაიხოსრო, მათ პორტრეტებზე ავტორს თავისი შენიშვნები აქვს. უკმაყოფილ იყო ვახტანგ გურიელის, მის სურათზე ასეთი წარწერაა, – შეიარაღებულა მთავარი ვახტანგ გურიელი, დიდი ბოროტმოქმედი, ღმერთმა შეინყალოს მისი სული. კასტელი დადებითად აფასებდა იმ მთავრებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ კათოლიკობის გავრცელებას, ხოლო ვინც ხელს უშლიდა, უარყოფითად. ასე აფასებდნენ ვახტანგ გურიელს, ამიტომ გურიიდან იძულებით წავიდნენ.

კასტელ გურიაში უნახავს მრავალი ხელნაწერი წიგნი, – საღვთო რჯულის წიგნები, უძველესი კანონები, სარაინდო ზღაპრები და პოეზიის წიგნები... მის ალბომ-სა და ცნობებში, მკითხველის თვალწინ იძლება განუკითხაობის ხანა, როდესაც საქართველოს დარბაისელნი არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას, როცა ბატონობდა ქიშნა, მტრობა, შუღლი, ფერდალური შიდა ომები. შემზარავ დანაშაულობებში მონაწილეობდნენ ლევან დადიანი, აფხაზეთის მთავარი სეტემან შარაშია, იმერეთის მეფე გიორგი, გურიის მთავრები სიმონ და მალაქია გურიელები.

მალაქია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, გურიაში თავისი ჯარით შემოიჭრა ლევან მეორე დადიანი.

მთავრად დასვა მალაქიას ძმა, ვახტანგი. ეს უკანასკნელი მტრობდა მისიონერებს და კათოლიკოსს. ურჩევდნენ, განედევნა ისინი სამთავროდან. მთავარმა მათ ყველაფერი ჩამოართვა, ფიცი დაადებინა, რომ სამთავროს არ დატოვებდნენ, თუმცა სძულდა ისინი. პატრებმა ეს ფაქტი თანამოძმებს შეატყობინეს სამეგრელოში. მათ კი ლევან დადიანს. ლევანმა ვახტანგს მისიონერების განთავისუფლება მოთხოვა, გურიელმა მათ სახლს ჯარი დაუყენა, მხოლოდ ლევან დადიანის მუქარის შედეგად გაუშვა პატრები. გურიიდან წასვლის შემდეგ, ისინი ხშირად ჩნდებოდნენ მრევლთან. ასე გაგრძელდა ოცდათოთხმეტი წელი. როდესაც გურიის მთავარი გიორგი გახდა, მან მისიონერები კარგად მიიღო, ეკლესია დაუბრუნა და ყმები უბოძა, დართო სარწმუნოების თავისუფლად ქადაგების უფლება, როდესაც გიორგი გურიელი არზრუმის ფაშასთან წავიდა, თან გაიყოლია პატრი ტურკი და პატრი რასპონი. თეათინელების მისიონი გურიაში უფრო მაღე დასრულდა, ვიდრე სამეგრელოში.

მომდევნო საუკუნეებში კათოლიკე მისიონერები გურიაში არ გვხვდება, იაკობ შემოქმედელმა (დუმბაძე) მოიწვია თუმცა მაღე დაატოვებინა გურიის სამთავრო.


ლევან ძნელაძე




შაღვა ქნერაძის ნახატებს ეღის დამზადები მომავლიდან...



ჩანახატები



ჩანახატი



გურული კოლმეურნე



გურული გლეხი



შესვენება



ესკიზი

გლეხის კარმილამო



მეგობრული საუბარი



ფიქრი

ნალია



ნაღის ფანომანი

ეკონიმიკური ანთროპოლოგიის მკვლევარები საფუძვლიანად შეისწავლიან საჩუქარს, როგორც ადამიანებს შორის მორალური ურთიერთობებების გამოვლინებას. ამ ფენომენს ისინი მასტერაბურად განიხილავენ. საჩუქარი გვხვდება, – ნივთობრივი, სპეციფიკურ-მხატვრული, ან ფულადი სახით. ასევე, შესაძლებელია იყოს შრომამიმაგრებითი და მომსახურების, არა გარეშე საგნის გაცემა, ან მიღება, არამედ ადამიანთა ჯვეუფის კოლექტიური, ტრადიციად ქცეული ურთიერთდახმარების ფორმა.

ადამიანი სოციუმის ნაწილია, იგი საზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს. საინტერესო ფორმაა ურთიერთდახმარება, რაც სოლიდარობაზე მიუთითებს. სოლიდარობა, როგორც აუცილებელი ფენომენი, საზოგადოების ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

ადამიანები მუდმივად საჭიროებენ ურთიერთდახმარებას, ყოველდღიურ შრომით საქმიანობაში, ლხინსათუ ჭირში, სტიქიური უბედურების დროს, საქართველოს კუთხეებში ურთიერთდახმარების ფორმები ორ ნაწილად იყოფა: 1. მრავალჯერადი დახმარება სამუშაო ძალით, თუ სხვა ფორმით, რასაც სეზონური ანუ სისტემატიური ხასიათი აქვს, ხშირ შემთხვევაში გაუთვალისწინებელ შემთხვევებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, გარდაცვალება, ქორნილი, სახლის მშენებლობა და სხვ. ამ დროს აუცილებელია, როგორც ნათესაური, ისე მეზობლური დახმარება, რაც საზოგადოების ერთობას უზრუნველყოფს. ურთიერთდახმარება ცალკეული პირის, თუ ოჯახის წევრის მიმართ, ქმნის დაცვის გარანტიას. საჭირო დროს მის ოჯახსაც აღმოუჩენენ მსგავს თანადგომას. ჩართულობა ხელს უწყობს ადამიანებს შორის მუდმივ კონტაქტსა და ინფორმირებულობას.

ურთიერთდახმარების ფორმები საქართველოს კუთხეებში აღინიშნება სხვადასხვა ტერმინოლოგიებით, –



ურთიერთდახმარების ფორმებს კორპორაციული ხასიათი ჰქონდა. ეფუძნებოდა მკაცრად განსაზღვრულ ნათესაურ, ან ეკონომიკურ პრინციპებს. უურნალის მკითხველების ყურადღება მიეკიცია ნადზე. გვხვდება ნადის ბევრი ვარიაცია, თუმცა თითოეული ნათესაურ, ან ეკონომიკურ ფაქტორზეა დამყარებული. სიტყვა ნადი ქართულ ენაში თავიდანვე არსებობდა. ძველი აღთქმის უძველეს ოშკურ ნუსაში (9786.) გვხვდება, – მეფენი მის თანა ნადნი, ნადთა მათ ეფერმითა და სხვ. სულხან საბა ორბელიანი ტერმინს ასე განმარტავს, – ნადი, მუშაკნი შეყრილნი; მუშად შეყრილნი კაცი იგი ფეიქარი. ასევე დამოწმებულია, – ნადობა, ნადში მუშაკობა; მონადე არის ლაშქარი ფასით შეძინებული. ნადის საბასეული განმარტება უფრო შეესაბამება იმ მნიშვნელობას, რაც ახალ ქართულშია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ნადის დეფინიციაა, – ძველი მუშები, რომლებიც უსასყიდლოდ ეხმარებიან ვისმეს ყანაში და სხვა – მამითადი.

ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, ნადი აღნერილი აქვს პროფესორ ჯ. რუხაძეს წიგნში – ხალხური აგრაკულტურა დასავლეთი საქართველოში. ავტორი საველე სამუშაოებისა და სათანადო წყაროებზე დაყდნობით, ნადზე გვანვდის შემდეგ ინფორმაციას, – მემინდვრების თითქმის ყველა სამუშაო ურთიერთდახმარებით სრულდება. შრომის ორგანიზების აღსანიშნავად, ცნობილია შემდეგი სახელები: ნადი (გურული, იმერული, ლეჩხუმური) // ნოდი (მეგრული) // მეგველი, მუშა (რაჭა) და მაინდი (გურია). ნადი დასავლეთი საქართველოში გულისხმობა, უსასყიდლო დახმარებას. ხოლო მაინდი, შრომის სანაცვლო ანაზღაურებას.

ნადს ინვევდნენ ახოს გატეხვის, მარგვლა-თოხნის, მოსავლის, ლომის და მახა-ზანდურის აღების, პურეული და ფეტვნირი მარცვლეულის მკის და სიმინდის ტეხვის დროს, ნადი აუცილებელი იყო მარცვლეული კულტურის რჩევის, ცეხვის და დაფშვნის პროცესში. ნადის დახმარებით შორეული ყანებიდან მოჰქონდათ მოსავალი, რაც ურმის ნადის სახელითაა ცნობილი. ნადში მუშაობა საპატიო საქმე იყო, სრულწლოვანი მამაკაცები ხალისით მონანილეობდნენ. მომუშავეთა რაოდენობა დამოკიდე-



ნიკოლოზ კინძმალიშვილი

მონდავი, მოდგამი, ულამი, მუშანი, დაძახილი, ნაცვალ-გარდა, მამითადი, ხადილი, სეფე, ქომაგი, ოჩხარი და სხვ. თითოეულს თავისი ისტორია და სემანტიკა აქვს. ზოგიერთი ურთიერთდახმარების გარკვეულ ფორმას შეესატყვისება. ნაწილი კონკრეტულ სამუშაოზე, ან სხვა-დასხვა შემთხვევების დროს, დახმარებას გულისხმობს.



ბული იყო მასპინძლის შესაძლებლობებზე. გადმოცემის თანახმად, ნადში ზოგჯერ იმდენი მუშა იყო, რომ თითო თოხის მეტი არ შეხვდებოდათ. ასევე, ცნობილია, მოსავლის აღებისა და დაბინავების, ანუ კალოობის (გურია, იმერეთი) დროს, იწვევდნენ 10-15 კაცს. შრომას თან ახლდა, მომუშავეთა გამამხნევებელი და ნამახალისებელი ნადური ლექსები და სიმღერები, სატრფიალო ლირიკა, აგრარულ-სამეურნეო სიმღერები: **ხელხვავი, ნადური, სანესჩვეულებო, საგმირო, საყოფაცხოვრებო და სხვ.** სიმღერების სხვადასხვა ვარიანტებია ცნობილი.

ნადის დროს ირჩევდნენ უფროსს – **ნადის თავის, მესვეურის, მესვრიელის, თაბაგარის, მესრიელის, მეჯოსოულის (იმერული, გურული, მეგრული).** იგი თავისი შრომით სხვებისთვის მაგალითის მიმცემი იყო. მუშაობის ტემპს ანესრიგებდა, მიმართულებას აძლევდა მეჭლებს და მთოხნელებს. მიმდინარეობდა შეჯიბრი, მაგალითად, ყანის მარგვლის დროს, ყანის თავში იდგა ღვინით სავსე დოქი და მცირე შესატანებელი. მენადე, რომელიც პირველი აიტანდა სვრელს, ჰქონდა უფლება, დოქიდან ღვინო ჩამოესხა და ეთამადა მონადეთათვის. მკის დროს შეჯიბრი სხვა სახეს იღებდა, ნამგლით მეჭლები სწრაფად მიჰყვებოდნენ თავიანთ ღვარეულებს და მეიდნენ დაგრეხილ ულოებს. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც მეორეს გაასწრებდა და მის ღვარეულს გადაუჭრიდა. დამარცხებული სხვა მხარეს გადადიოდა, რადგან ნამგლით მონინავეს დაასახირებდა. ასე იყო ბალახის თიბვის დროს. თქმულების თანახმად, იმერეთში პურისმკაში განთქმული მელები იყვნენ თაბაგარები, მათ მენინავეობა გვარად მიუღიათ. ნადში მასპინძელი

თანასოფლელს, მესვეურსა და მოწინავე მუშას სათანადოდ უმასპინძლდებოდა. კარგი ნადი პატარა დღესასწაული იყო, ხშირად ნადში საჭიროზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, რადგან თავყრილობიდან ვინმეს გამოტოვება შეიძლება საწყენი იყო. ნადში მნიშვნელოვანია, არა მარტო ძლიერი და გამოცდილი მშრომელი, რომელსაც სხვების ორგანიზება შესწევდა, მიმდინარე პროცესსაც კარგად თაბაგრობდა, არამედ ვისაც უკეთესი ხარულები ჰყავდა და შეეძლო მეტი ტვირთის წალება. მაგალითად, როდესაც ხის სახლი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაპქონდათ, სახლის საძირკველი ერთ ურემზე ეწყო, ეს ურემი იყო მენინავე, სხვები მის კვალზე მიღიოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში ნადის მსგავსი სამუშაო ცნობილია სხვადასხვა დასახელებებით, – **ნაცვალგარდა, სანაცვლო მუშაობა, რიგ-რაგა, ხელნაცვლობა, დანაცვლებით მუშაობა, ნაცვალგარდობა, მუშაი და სხვ.** შრომითი გაერთიანების დროს, ნაცვალგარდა ფართოდ გავრცელებული ტერმინია.

ნაცვალგარდში თანაბარი ფენის, ღარიბი გლეხობა იყო გაერთიანებული. მათ არ ჰქონდათ ნათესაური კავშირი. გლეხები თითოეულ წევრთან მუშაობდნენ დღეების თანაბარი რაოდენობით. რიგს თავიანთი სურვილით ანესებდნენ. მშრომელების დაპურება იმ ოჯახის ვალდებულება იყო, ვისაც ეხმარებოდნენ. ნაცვალგარდში 10-12 კაცი ერთიანდებოდა. კვების, დასვენებისა და შრომის რეჟიმი მკაცრად იყო განსაზღვრული, ნაცვალგარდში შრომობდნენ კაცები და ქალები, დამოკიდებული იყო ადგილზე და სამუშაოს სახეობაზე.

შრომით კოოპერაციაზე გარკვეულ გავლენას ახდენს



ქონებრივი მდგომარეობა, ინვენტარით არათანაბარი მონაწილეობა, შეძლებულებს საშუალებას აძლევდათ, ესარგებლათ დარიბი გლეხების შრომით. მსგავსი შემთხვევები ასახავს გვიანდელ ვითარებას, რაც სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგია.

დღეს, ნადი, როგორც მუშათა შრომითი გაერთიანების ტრადიცია, უსასყიდლო ურთიერთდახმარება, იშვიათია ფორმა, თანამედროვე ტექნოლოგიების წინსვლამ, ტრაქტორებისა და მანქანა-დანადგარების სისტემატიურმა გამოყენებამ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანისა და დამუშავების პროცესში, შეასუსტა უსასყიდლო ურთიერთდახმარების ტრადიცია. მთავარი ფაქტორი გახდა, ხალხის სოციალური დიფერენციაცია.

მნიშვნელოვანია, საერთო შენატანის პრინციპი, ადამიანები ერიდებიან მსგავსი შრომითი კაპიტალის დაბანდებას, გარემო არასტაბილურია, **ინვესტორს** შესაძლოა, აღარ დასჭირდეს ნადის უკან მოწვევა, ვერ შეძლოს მიწის დამუშავება, ან გამოიყენოს ტექნიკური საშუალე-

ბები. ასევე, მთავარია, ნადის პოტენციური მონაწილეების შრომითი სტატუსი – ადამიანები, რომლებიც დასაქმებულნი არიან, ნადის მონაწილეებად არ განიხილებიან, ხოლო თვითდასაქმებულებისთვის, დრო ფულია და არა სანაცვლო შრომა – კონკრეტული დრო განვითარებულია კონკრეტულ ციფრებში.

ნიკოლოზ კინძარიშვილი

გამოყენებული ლიტერატურა: ნიკოლოზ კინძარიშვილი – მატერიალური დოკუმენტის განაწილების თავისებურებები ადგილობრივების სოციალური დიფერენციაციის პირობებში. სამაგისტრო ნაშრომი. სტუ. თბილისი: 2017წ. თეა ქამუშაძე – ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის ფორმები, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია/ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიური ინსტიტუტი, თბილისი, 2010წ. ჯ. რუხაძე – ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი: მეცნიერება, 1976წ.

ფსიქოლოგიური ჟანრის ლიტერატურა გამოხვავლება



სიყვარულის ჯალათი

და სხვა ფსიქოთერაპიული
ნოველები



ირვინ იალმაი

მსურველება მოგვაროთ: ს. დალიანის №7 (სავაჭრო შენტრი ქარვასლა)
მობ: 571 13 12 11



ფრიც რიმანი სიყვარულის ენაზი



...ჩერაშვილობამ, ბევრს ან გთხოვ...



ჯუმბერ ჯიშვარიანი

ამ დღეებში კვლავ სამხრეთ კაროლინაში მივემგზავრები; კუნძული-კურორტი ჰილტონ-ჰედი უნდა მოვინახულო. იქიდან ერთი საათის სავალზე ქალაქი ბლაფ-ტონი. მხოლოდ იქაა შემორჩენილი სამოქალაქო ომამდე აშენებული სახლები, ჩრდილოეთიდან მოსულმა ოკუპანტებმა ომის დროს ყველაფერი გადაწვეს. რაღაც სასწაულით, რამდენიმე სახლი გადარჩენილა, რომელიც 1840 წელს ჯონ ჯეიმს კლოუნს აუგია. ერთ-ერთ სახლში მუზეუმია გახსნილი.

სტოუნი სამუალო შეძლების პლანტატორი ყოფილა, მას ქვის შენობების საშუალება არ ჰქონია, ამიტომ ხის ქოხები აუგია, რომელებშიც ბრინჯის ყანებში მომუშავე აფრიკელი მონები ცხოვრობდნენ.

ქოხების ნახვა დამეხმარება უფრო ცხადად ნარმოვიდებინ ბიჩერ სტოუს ბიძას თომას ქოხის გმირები, მათი ცხოვრება...

გუშინდელი დღესავით მახსოვს, — სკოლის ბიბლიოთეკიდან, გაცრეცილი, ხშირი ხმარებისაგან ერთიანად დაძენდილი წიგნი გავიტანე, რომელმაც ყმაწვილ ცრემლები მადინა...

ვერც კი ვიხსენებ მეორე წიგნს, ასე სამუდამოდ რომ აღმძეჭდოდა მეხსიერებაში (მხედველობაში მაქვაცებოელი ავტორის წიგნი).

მსურდა, ზოგი რამ აღმედგინა ყმაწვილობისდროინდელი შთაბეჭდილებებიდან; ისე მენახა მისისიპი და ახალი ორლენი, თომას ლანდი მხლებოდა თან...

მეუღლემ წიგნი გამომიგზავნა.

...მშობლების, და-ძმების, ახლო ნათესავების, მეგობრების სიკვდილის მომსწრეს, როგორ მეგონა, კიდევ თუ შემომრჩებოდა ცრემლი...

...ხლოას ნუ ეტყვით, რა დღეში მნახეთ აქ, — განაგრ-

თომას საფლავზე არავითარი ძეგლი არ აღუმართავთ. მან ადამიანთა ხსოვნაში უკვდავჲყო თავისი სახელი.

ბიჩერ სტოუ

ძო თომამ, თორემ მწუხარება გაუორკეცდება საწყალს, უთხარით მხოლოდ, რომ მე ჩემი დღით მოვკვდი. უთხარით აგრეთვე, რომ მე აქ არავითარი ტანჯვა არ მინახავს, და ყოველთვის მახსოვდა ჩემი ცოლ-შვილი. თუმცა გული მეტანჯებოდა, რომ მათგან შორს ვიყავი, მაგრამ ასეთი იყო ჩემი ბედი და მეც ვითმენდი მათ დაშორებას. ვლოცავ ჩემს შვილებს და ვუსურვებ, რომ ცხოვრებაში მუდამ სიმართლის გზით იარონ. გადაეცით აგრეთვე ყველა ნაცნობს ჩემი უკანასკნელი სალამი...

ეტყობა, მართლა დავბერდი, გულჩვილობა შემომეპარა. შემეშინდა, არ მიღალატოს ძალებმა და აქ, უცხო მინაზე, ახლობლებისაგან შორს მყოფმა არ განვუტევო სული... რა იცი, სიკვდილი ხომ ერთი ამოსუნთქვაა...



ზოგჯერ სალამობით, ოკანის პირას გასული, მთვარეს თვალს შევავლებ და დავფიქრდები, — სამშობლოდან რა შორს ვარ გადმოხვენილი, — გამაურულებს...

იმ დღეს ჩემს მეგობარს, გეოლოგსა და უურნალისტს ვანიკო ჯაფარიძეს დავურევე თბილისში; ვუამბე ჩემი მოგზაურობის აბები, თუ რა ვნახე კაროლინასა და ჯორჯიაში, ალაბამასა და ტენესისში, ილინოისა და მისურიში.

— ამ დღეებში ოპაიოს შტატში ვაპირებ-მეთქი წასვლას.



ჰარიეტ ბიჩერ სტოუ



— ხანდახან პასპორტში ჩაიხედე, პასპორტში, — მითხრა სიცილით.

ელდა მეცა! უკან მოვიხედე, მართლაც, რა დრო გასულა! მისმა სიტყვებმა ცივი შხაპივით იმოქმედა, თითქოს ფრთხები შემიკვეცა... არადა, რას ვერჩი, სიმართლე მითხრა კაცმა! უბრალოდ, თავს არ ვუტყდები; რაკი ჯანი მომდევს, კიდევ ბევრის ნახვა მაქვს განზრახული, თორემ რა დროს ჩემი ხეტიალია...

...საბრალო თომა! მისი ნატანჯი, ნაგვემი სხეული ცოლ-შვილისაგან შორს-შორს მიაბარეს მიწას...

მისთვის ერთადერთი ნუგეში ისლა იყო, მისმა გაზრდილმა, კეთილშობილმა ჯორჯმა ცოცხალს მიუსწრო, მანვე დაუხუჭა თვალები...

...ჩემი ძვირფასო აღმზრდელო, ჩემი სიყრმის მეგობარო, მეტი არაფრის გაკეთება არ შემიძლია შენთვის. ნება მომეცი, ამით გემსახურო და ტანი ჩემი მოსასხამით შეგიძმოს.

მე? მე რომ აქ შემომაღამდეს, ამ უკიდეგანო, უცხო მხარეში, სრულიად უცნობ ადამიანებს შორის, ვინდა დამისუქავს თვალებს? მაშინ, მკვდარიც კი ვეღარ ვეღირსები სამშობლოს მიწას... თანაც, რა საზიზღარია საგოზავით წებოვანი აქაური წითელმიწა....

...ზოგი ვაი-ქართველისგან შერისხული აკაკის სულს ვეთაყვანე - დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო...

ღმერთო დიდებულო! მხოლოდ ერთს გევედრები, - გამაძლებინე, ვიდრე ჩემი ბედარული სამშობლოს მიწაზე დავდგამ ფეხს...

მერე მოხდეს, რაც მოსახდენია...

P.S. ოპაიოში მაინც წავედი. მთელი შტატი შემოვია-

რე, ცინცინატიდან კლივლენდამდე: სანდასკეში, ერიას ტბის პირას, თანამემამულებსაც შევხვდი, კუური ლეკაშვილსა და როინ მეფუარიძეს; ოპაიოს ფანტასტიკურ მღვიმეშიც ვიყავი, შტატის დედაქალაქის კოლუმბუსის მახლობლად. ახლა პატარა, პროვინციულ ქალაქში ვარ, ლებანონში, რომლის ღირსშესანიშნაობათა შორის უმთავრესია 1803 წელს აგებული სასტუმრო **ვერდი (Golden Lamb)**. ამ სასტუმროში სხვადასხვა დროს ამერიკის ათი პრეზიდენტია ნამყოფი; ასევე გამოჩენილი ადამიანები – დიკენსი, მარკ ტენი, ბიჩერ სტოუ...

აქ, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან წარსულის ხსოვნას. იმ ოთახებში, რომლებშიც ცნობილი ადამიანები ცხოვრობდნენ, ხელუხლებლადაა შენარჩუნებული იმდროინდელი ინტერიერი, ავეჯი, ზოგიერთი ნივთი. ირგვლივ ყველაფერი სიძველით სუნთქვას. სასტუმრო მუდამ გადაჭედილია. უფრო ხანდაზმული ეტანებიან აქაურობას. ალბათ, გასახსენებლად გარდასულ დღეთა...


სასტუმროს დირექციის თავაზიანი ნებართვით, ოთახში, რომელშიც ოდესლაც ბიჩერ სტოუ ცხოვრობდა, ყვავილების თაიგული მივიტანე...

ჯუმბერ ჯიშკარიანი ლებანონი, ოპაიოს შტატი, აშშ

XIX საუკუნის 30-იან წლებში ამერიკის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა დაიწყეს ბრძოლა მონობის ნინაალმდევე. მათ აპოლოციონისტებს უწოდებენ. ამერიკაში მონობის ნინაალმდევე ბრძოლას სტიმული მისცა ამერიკელი მწერალი ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანმა ბიძია თომას ქოხი.

კ ა რ ი ს 100

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, რომელსაც არიანს ეძახდნენ. იცოდნენ, რომ მისი მშობლები ქართლიდან იყვნენ მოსულნი. თუმცა, სახელი მათი არავის უწყოდა. ცხოვრობდა არიანი მცხეთის განაპირას, არაგვისა და მტკვრის შესართავთან მდგარ ერთ პატარა ქოხში, ქარისგან აკვანივით ნარჩევში და ნანანავებში. იზრდებოდა არიანი ძედის ანაბარა. ვიდრე მცირენლოვანი იყო, ზამთარ-ზაფხულ კენკრით, მოცვითა და მაყვლით იკვებებოდა. ყმაწვილობა ტყე-ღრუში ხეტიალს მოანდომა. ხოლო სიჭაბუკეში რომ შევიდა, ნადირობაში გაიწაფა ხელი, და ისეთი ხელოვანი მონადირე შეიქმნა, რომ თვით ფარნავაზსაც კი არ უდებდა ტყოლს, რომელიც სწორედ იმხანად ეკურთხა მეფედ ქართლისა, მას მერე. რაც ეგრისის მთავრის ქუჯის შენევნით დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელისგან მცხეთის განმგებლად ნარმოგზავნილი, სახელგანთქმული მხედართმთავარი აზონი. ბრძოლის ჟამს, არც არიანი მდგარა გვერდზე. გმირულად იბრძოდა, თავდადებით. მას მერე, რაც განთავისუფლდა ქვეყანა და ერთხანს მშ-



ვიდობამ დაისადგურა, იფიქრა, ქვეყნის საქმეს ახლა უჩემოდაც მოევლება, ჯობს ჩემს საქმეს მივხედო: აბა, მაშინ რა კაცი ვიქნები, თუ ჩემი მშობლების ვინაობა და ასავალ-დასავალი ვერ გავიგეო. ესა თქვა და მეორე დღესვე, აიკრა გუდა-ნაბადი და გაუდგა გზას. ცხრა წელი დახეტებოდა აღმა-დაღმა, გერგენის ზღვიდან, ვიდრე პონტოს ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან, ვიდრე ქართლის ქედამდე. სულ ფეხით შემოიარა ქვეყანა, ვის აღარ ჰკითხა თავის მშობლებზე, გამვლელ-გამომვლელს ეკითხებდა მათ ამბავს. მაგრამ ყველა ერთსა და იმავეს პასუხობდა, — ღმერთმა იცის, სად იქნებიანო. ბოლოს, ერთ ბრძენთან მივიდა და მანაც იგივე რომ უთხრა, ღმერთმა იცის მათი ასავალ-დასავალიო, მაშინ სთხოვა, ის მაინც მითხარი, ღმერთთან როგორ მივიდეო. ბრძენმა უთხრა, — ადრე თუ გვიან ყველა მივალთ ღმერთთან, რათა განგვიკითხოს განვლილი ცხოვრების მიხედვით და განგვამნებოს ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როდესაც ამ ქვეყანას მოვივლით, და მელეთს ანუ საიქიოს გავემგზავრებით,



საიდანაც უკან აღარავინ ბრუნდებაო.

— უკან დაბრუნება არ მადარდებს, მთავარია, ჩემი მშობლების ამბავი შევიტყო.

— კარგი, რადგან არ იშლი რა გაეწყობა, გეტყვი: დალიე ძილის წამალი, რომელსაც მე მოგცემ და გაუყევი სიზმრის ბილიკს, ბილიკი მდინარესთან მიგიყვანს, იქ ბორანი დაგხვდება, ეტყვი მებორნეს და გადაგიყვანს გალმა ნაპირზე, იქ ჰყითხავ პირველსავე შემხვედრს და ის გასწავლის გზას.

არიანმა მადლობა გადაუხადა, გამოართვა ძილის წამალი და წამოვიდა. ჯერ მზის წილ ილოცა, მერე მთვარის წილ. სუყველა მნათობის ლოცვა რომ აღასრულა, დალია ძილის წამალი და უეცრად, ულრან ტყეში ამოყო თავი. გაუყვა ბილიკს, გადაიარა მინდორი, მიადგა მდინარეს. გადაიყვანა მებორნე გაღმა ნაპირზე და დატოვა. გაუკირდა არიანს, ვერ მიხვდა წელინადის რა დრო იყო. თოვლზე იები და ზამბა-სები ამოსულიყვნენ, გვირილა მრავლად იყო, ხეზილს მწიფე ნაყოფი ესხა, თანაც ფოთლები სცვიოდა და ნაფოთლარზე კვირტები ისევ იყრებოდა. თუმცა მზე არ ჩანდა, მზიანი დღე გახლდათ; კიდეც წვიმდა, მართალია, ქარი არ იყო, მაგრამ ფოთლები ქარისგან შრიალებდნენ. გაუყვა გზას არიანი. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ გამოქვაბულს მიადგა, გამოქვაბულის წინ მოხუცი ქვის მთლელი იჯდა, მიესალმა არიანს და ჰყითხა, — ვინ ხარ ჭაბუკო, ან საით გაგიწევია?

— მე არიანი მქვია, ლმერთთან სათხოვნელად მივდივარ, რომ ჩემი მშობლების ვინაობა და ადგილსამყოფელი გამაგებინოს. შენ თავად ვინ ხარ მოხუცო, თან რომ მეცნობი, თან ვერა? ეგებ, მიმასწავლო გზა ლმერთის სამყოფლისაკენ.

— მე ვარ უფლოსი ძე მცხეთოსისა, ქართლოსის ძისა, რომელიც იყო ძე თარგამოსისა, თარში ძისა, ხოლო თარში იყო ძე იაფეტისა, ნოეს ძისა. მე ვარ ძმა ოძრახოსისა და ჯავაროსისა, ვარ აღმაშენებელი უფლისციხისა, ქალაქისა მშვენიერისა, მაგრამ ლმერთის სამყოფელი არ ვიცი, სად არის და ვერც გზას მიგასწავლი. მამაჩემთან კი გაგზავნი, ვგონებ, იმან იცისო, — უთხრა უფლოსმა და გაგზავნა მცხეთოსთან, რომელიც ყოფილა თურმე დიდებულის ქალაქის მცხეთის დამაარსებელი.

მივიდა არიანი მცხეთოსთან და სთხოვა, ლმერთის სამყოფლისკენ მიმავალი გზა მასწავლეო. მე არ ვიციო, — უთხრა მცხეთოსმა, არც იმას ვგონებ, რომ ჩემმა ძმებმა გარდამოსმა, კახოსმა, კუხოსმა ან გაჩილისმა იცოდენენ, ეგ თუ ეცოდინება, მამაჩემს ქართლოსსო. წავიდა არიანი ქართლოსთან და ახლა მას ჰყითხა, ლმერთის სამყოფელისკენ სავალ გზას ხომ ვერ მასწავლიო. ქართლოსმა უთხრა, ეგ არც მე ვიცი და არც ჩემს ძმებს ჰაოსს, ბარდოსს, მოვაკანს, ლეკოსს, ჰეროსს, კავკა-სოსს და ეგროსს ეცოდინებათ, უმჯობესია, მამაჩემს

თარგამოსს ჰყითხოო. გაეშურა არიანი თარგამოსთან, თარგამოსმა მამამისთან, თარშისთან გაგზავნა. თარ-შიმ იაფეტთან, რომელიც იყო ძე ნოესი, ძმა რემისა და ქამისა. მაგრამ იაფეტისგანაც რომ ვერაფერი შეიტყო, ბოლოს თვით ნოესთან მივიდა, ლმერთის რჩეულთან, რომელიც ლმერთმა არ განირ წარლვნის ჟამს და არ აღგავა პირისაგან მინისა. ნოემ უთხრა, — შენი მშობლებისა არაფერი ვიცი, მაგრამ ის კი შემიძლია, ლმერთთან მივიყვანოო. გაუძლევა არიანს და მიიყვანა ლმერთის სასახლესთან. სასახლეს ელვის გალავანი ერტყა, რათა შიგნით ვერავინ შესულიყო. თუ ვინმე გაბედავდა და მიუახლოვდებოდა, უმალ ნაცარტუტად იქცეოდა, ადგილზევე დაიცერფლებოდა. უეცრად, გაიღო ცეცხლოვანი კარიბჭე სასახლისა და სადღაც სიღრმიდან გამოვიდა იდუმალი ხმა, სიტყვა უფლისა — შვილო ჩემო, საყვარელო არიან, მეძებდი და აპა, მიპოვე კიდეც. მე ვარ მამაშენი — მამა ზეციერი, უხილავი, თუმცა მარად შენთან მყოფი, ხოლო დედა შენი არის ბუნება. შენი მშობელი — მინა კურთხეული, ვიდრე ცოცხალი ხარ, იგი გასაზრდოებს, ხოლო როცა მოკვდები, სხეულს შენსას მიიბარებს, სული კი ჩემს სასუფეველში დაისადგურებს, სამარადისოდო.

— მამავ ზეციერო, თუკი ბუნებაა დედაჩემი, რად არაფერი მითხრა თავად?

— როგორ არ გითხრა, იგი ხომ მუდამ გარიგებს ჭკუას, როგორ მოიქცე, როდის რა საქმე აკეთო, როდის დათესო ან როდის მოიმკა, მაგრამ შენ არ გესმის, რადგან ყველა შვილივით, შენც გაუგონარი ხარ. ახლა დაბრუნდი დედასთან, პატიება სთხოვა, მიეფერე, მიესიყვარულე და იგი მრავალ საიდუმლოს აგიხსნის. დაემშვიდობა არიანი მამას და დაბრუნდა ქვეყანაზე. პატიება სთხოვა დედას, მიეფერა, მიესიყვარულა და უამბო საიქიოს ამბავი... როგორ შეხვდა ჯერ უფლოსს, მცხეთოსს, ქართლოსს, თარგამოსს, თარშის, იაფეტს და ბოლოს ნოეს — მამას იაფეტისას, რომელმაც ლმერთთან, მამა ზეციერთან მიიყვანა. დედამ უთხრა, ყველანი ჩემი შვილები და შენი ნათესავები არიან. შენ მათ სახელებს მარად უნდა მოიგონებდე და პატიეს სცემდეო.

გაიგო არიანმა დედის სიტყვა და გაიგონა, და მას მერე იქნა გამგონი მშობლისა. ესმოდა მდინარეთა და ნაკადულთა ჩუქუში, ქვათა ლალადი, მცენარეთა და ცხოველთა ენა, და ისმინა სიჩუმისა, და შეიქმნა კაცი მეცნიერი და შემწე ფარნავაზისა, ქართული ანბანის შექმნაში, რისთვისაც მადლობდნენ ჩვენი წინაპრები მას და ლმერთს.

ან, ჩვენც რა გვეთქმის მადლობის მეტი.

**მამუკა სალუქვაძე
მხატვარი ზაურ დეისაძე**





ანთლობრივი



☺ ☺ ☺

ნოდარ დუმბაძეს უთქვამს, – იქ სადაც ორი გურულია, სამი განსხვა-ვებული აზრიაო.

☺ ☺ ☺

– გურული ხარ? – ჰკითხეს გურულს
– კი, მაგრამ ვმკურნალობ!

☺ ☺ ☺

გურიაში გასვენებაში იმდენი ხა-ლხი მივიდა, მეორე მიცვალებული დაამატეს.

☺ ☺ ☺

გურული ბანკზე:
– აი მიწა კი არ უნდა ჩადო ბანკ-ში, მაი ბანკი უნდა ჩადო მიწაში!

☺ ☺ ☺

გურული ქალი ქმარს:
– ისეთს ამოგარტყამ, იქნება ორ-მოცმა ჰაერში მოგისწროს!

☺ ☺ ☺

გურული ქუჩაში დგას უსაქმუ-რად, ხედავს პოლიციელს თხა მოყა-ვს, დაინტერესებული გურული მი-მართავს: სად მიგყავს მაგი ძალლი? პოლიციელი გამწყრალი ხმით მი-მართავს: აგი ძალლი კი არა, თხაია!
– მერე მე თხას ვეკითხები, შენ კი არა.

☺ ☺ ☺

კახელი ქათამი გურულ ქათამს:
– შენ რა ქათამი ხარ, შენი მო-ცუცქნული კვერცხი სამი კაპიკი ღირს, ჩემი – ხუთი!
– რა გითხრა, ნენა იცი? ახლა რაცხა 2 კაპიკის გულიზა ტრ....ზე ვერ გევიხევი მე!...

☺ ☺ ☺

გურული ორმოში ჩავარდება, ცოტა ხანში ვიღაც გამოივლის.

გამოლელი: – დამელოდე, თოკს მოვიტან და ამოგიყვან!

გურული: – ახლა ამას უცადე კიდო!

☺ ☺ ☺

– გურული: მიდი, შვილო, ბებოს-თან, რაცხა გასახარელი უთხარი, ფინთათა მაგის საქმე.

– ბებო, პანაშვიდზე „4 გიამ“ რომ გიმღეროს, გეგეხარდება?

☺ ☺ ☺

გურული ბავშვი წევს აკვანში.
უცემ გამოილებს საწოვარას პი-რიდან და გაბრაზებული იყვირებს:
– გადამდგით ვინცხამ, მომადგა მზე!

☺ ☺ ☺

– სვანი გადაეკიდა გურულს, ყა-ნწი დალიეო.

– არა შენიჭირიმე ინფაქტი მაქვს ახალი გადატანილი და ვერ დავლევ!
– ოჟ შენ გადატანილი გაქვს და მე კიდე გადასატანი მაქვს..აპა დროზე დალიე ეხა!!

☺ ☺ ☺

რესტორანში გურულ ოფიციანტს ეკითხებიან:
– ქათამს როგორ ამზადებთ?
– რაფერ, ძამა და, დაკვლის წინ მივალთ რამდენიმე ახლობელი, ჩა-მოვუჯდებით, ანეკდოტებს მოვუყ-ვებით, ხასიათზე მევიყვანთ და მერე შევაპარებთ ნელ-ნელა, რომ შეემზა-დოს დასაკლავად.

☺ ☺ ☺

გურული ზის ციხეში. მეორე გურული ეკითხება:
– რეიზა ზიხარ?
– არ მიშობენ და...

☺ ☺ ☺

გურულს ჭაში ჩაუვარდა სიდე-დრი და მოკვდა. მიუსამძიმრა ახლო-ბელმა გურულს, ეს რა დაგმართნია, ძამაო.

გურულმა უპასუხა: – მაი აფერი, ძამა, მაგ ჭიდან მაინც არ ვსვამდი წყალს!

☺ ☺ ☺

რა განსხვავებაა გურულ აბდალ-სა და კახელ სულელს შორის?
– კახელი ქვებს ისვრის, გურული კი პაპკით დეიარება.

☺ ☺ ☺

გურულ ქალს ჰკითხეს, – რა უნ-და ქნა თუ შენს მიმართ კაცი გაცი-ვდაო?

– უნდა დამარხო! – უპასუხა მან.

☺ ☺ ☺

გურიაში ჭორიკანა ქალი გარდა-იცვალა. მეზობლები დასტირიან:

– ადე, ცა, ზეზე, რაფერ გვტიებ ინფორმაციულ ვაკუუმშიიი!

☺ ☺ ☺

– მსოფლიო კარგავს გენიო-სებს...

აინშტაინი მოკვდა,
ბეთჰოვენი დაყრუვდა,
რაცხა მეც ვერ ვარ კარქათ!..

☺ ☺ ☺

ლამაზი ქალი ჭუას გაკარგვი-ნებს, გურული ქალი გახვედრებს, რომ ჭუა საერთოდ არ ვაქვს...

☺ ☺ ☺

გურიაში მშობლებმა შვილებს მი-ქაელი და გაბრიელი დაარქვეს.

მეზობელმა შეუთვალა, – ეს ორი ჩემს ჭიშკართან ერთად მოსული არ ვნახოო!

☺ ☺ ☺

გურული სახლში რეკავს:

– რაფერ ხართ?
– კარგად...
– ბოდიში, მგონი სხვაგან მოვხ-ვდი!

☺ ☺ ☺

გურულს სტუმარი ესტუმრა, კა-რგად გაუმასპინძლდა.

სტუმარი გამოთვრა და სახლ-ში წასვლას ვერ ხვდებოდა. ბოლოს დაიწყო სიმღერა:

– ვაი ველარ ველავ მზეს...
– ვერც ჭიშკარს? – უყვირა გაბ-რაზებულმა გურულმა.

☺ ☺ ☺

– ილიკო აქ ცხოვრობს?

– არა.
– კაცო, შენ ილიკო არ ხარ?
– მე კი ვარ ილიკო, მარა აგია ცხოვრება?..

☺ ☺ ☺

გურიიდან მეზობელი მწერს:

– ძილის წამალი იმფერი ძვირია, რომ ვიყიდო, მაგის დარდით არ დამეძინებაო!..

Alfonso Jiménez
Barro de Madrid Estudio

ISSN 2346-7606



9 772346 760009